№ 2870
კვირა,
24 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2870
კვირა,
24 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

პოლაკ და ამხ.
ტფილისი ბაქო ბათუმი
ადრესი დეპეშისათვის: ФИЛПОЛАКЪ.
ადრესი ტფილისისათვის: სოლოლაკის ქუჩა, № 3. ტელეფ. № 27.
სატეხნიკო განყოფილება.
✦ წარმომადგენელნი: ✦
საელექტრონო ქარხნის „ვოლტისა" რეველში.
სააქციონერო ამხანაგობისა „ნობელ" მოტორები დიზელისა.
ნავთის მოტორები „ვულკანის" სისტემისა.
წყლის ტიურბინები სინგრუნ ეპინალის სისტემისა—საფრანგეთი.
ტერმოს სატეხნიკო სახლის გათბობის სისტემისა.—ბაქო და სხვა და სხვა.
ვკისრულობთ ქარხნებისა და ფაბრიკების სრულ მოწყობას. დაწვრილებით ცნობები და ხარჯთ-აღრიცხვა მსურველს მოთხოვნილებისათანავე გაეგზავნება. (3—1)

წელიწადი — სანატორიუმი — მეორე
4400 ფუტის სიმაღლე; საზაფხულო სამყოფი 15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.
✦ ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა ✦
პატარა-ცემში, ბაკურიანის რკინის გზაზედ.
მიიღებიან ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადა-დაკარგულნი, ჭაობის ციებით შეპყრობილნი და საერთოდ ვისაც ესაჭიროება მოღონიერება,
წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, ფიჭვნარი, დასვენება, უხვი საზრდო, გასართობი და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა შეფარდებული თითოეულ ბავშვის აგებულობასთან.
დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება წერილობით ბორჯომის სანატორია ექიმ ვ. ღამბაშიძესთან. (0—10).

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.
ვაჭრობა
მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.
100,000 მანეთისა.
მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ამაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ გაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ფასები შეუვაჭრებლად.
ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—64)

გაიღო რესტორანი ბაღით
„კავკაზი"
(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.
მზადდება ევროპიული და აზიური სადილი.
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი ½ ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.
ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მმართველი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანაძე. (15—244—1).

ქუთაისის გამგეობა
წმ. ნინოს საქველმოქმედო საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ ამ აკადემიურ წლის დასაწყისიდან სწავლის ფული ემატებათ ქუთაისის საქალებო წმინდა ნინოს სასწავლებლის მოწაფეებს—თითო თუმანი (ათი მანეთი) და ამიტომ გადახდებათ ნახევარი წლის ფული მოსამზადებელ კლასების მოწაფეებს 30 მანეთი, 1, 2, და მესამე კლასებისას—32 მ. 50 კ.; 4, 5, 6 და 7 კლასებისას 35 მან. და 8 და 9 კლასებისას 40 მანეთი, (3—2)

პეტერბურგის ამხანაგობა
„ნადეჟდა"
ტფილისის კანტორა 1 აგვისტოდან გადადის კნ. რატიშვილის სახლში (თავ. ირაკლისეული), სოლოლაკის და ფრეილინის ქუჩების კუთხეში და ოტტენის აფთიაქის პირდაპირ. (3—92—1)

რადგანაც ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო მუშაობამ და ვაჭრობამ საგრძნობელათ იკლო, გამგეობა ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
„არტელი"-სა
სთხოვს ამავე არტელის წევრთ, მობრძანდნენ კვირას, 24 ივლისის კრებაზედ ამხანაგობის საქმეების განსახილველად თანახმად 45 მუხლისა ამხანაგობის წესდებისა. კრება შესდგება ელისაბედის ქუჩაზედ პრიკაშჩიკოვის სახლში № 25.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი ცქიტიშვილისა № 15.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—7)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

22 ივლისი.

ოსაკა. რუსებმა დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი იაპონიის ჯარების ცენტრის პირდაპირ ფოკუმინისკენ. რუსების ჯარებს მუდამ ემატება ჩრდილოეთ კორეიაში. ხერიანგისკენ 30 ათასი მხომარი დგას, ლაუნაუნისკენ 9 ათასი. ტუმენის ჩრდილოეთით რუსები აგებენ საგერ სიმაგრეებს იაპონელების წინააღმდეგ; ხერიანგი ბაზა იქნება.

შანხაი. რუსებს ტუმენის სამხრეთით უყენიათ ერთი დივიზია ჯარი.

ნიუ იორკი. სატომ ისე გააგებინა ერთს კორრესპონდენტს, რომ იაპონია რუსეთს მოსთხოვს, დაახლოვებით, ერთნახევარ მილიარდ მანეთს; ამ ფულში შედის ერთი მილიარდი სამხედრო გასავალი და ნახევარი მილიარდი იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც ომის გათავებას მოჰყვება, სახელდობრ-ჯარების უკან გადაყვანას და სამხედრო გემების შესწორებასო. როგორც ეტყობა, იაპონელებს იმედი აქვთ, რომ მოლაპარაკების საქმე სასურველად დაბოლოვდება, რუსები კი პესიმისტურ ხასიათზე არიან.

ნიუ-იორკი. ვიტტეს ცნობამ, ეტყობა, იაპონელები კარგს ხასიათზე მოიყვანა. სატოს შესაძლოდ მიაჩნია ამტკიცოს, რომ ვიტტეს ფართო რწმუნება აქვს და წინასწარმეტყველობს მოლაპარაკების მშვიდობიანად გათავებას, ვინაიდან იაპონიის მოთხოვნები არაა უზომოო. ვიტტე, როცა იგი ბირჟაზე იყო და გალერეიაზე იდგა, მაკლერებმა იცნეს და ყვირილით მიესალმენ მას.

გუნჟულინი, (საკუთარის კორესპონდენტისაგან). მტკიცდება ხმები იაპონიის ჯარებში ხოლერისა და ყამის მძვინვარების შესახებ. პირველად ვიუწყები ამას, ვინაიდან დღემდე სარწმუნოდ არ მიმაჩნია ეს ხმები. ჩვენს ჯარებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მსუბუქს ავადმყოფობას კუჭისას, სანიტარული მდგომარეობა კარგია.

პეტერბურგი. ოფიციალური. გამოცხადდა შემდეგი უმაღლესად დამტკიცებული დებულება ხელოსან ებრაელების შესახებ: იმ ქალაქებში, სადაც საამქრო სამმართველობა აარა, მაგრამ არსებობს საერთო სახელოსნო გამგეობები, ხელოსან-ებრაელებს სახელოსნო მოწმობებს აძლევენ. ის საერთო გამგეობანი, რომელნიც ამისთანა შემთხვევებში მე-415 მუხ. ძალით მოქმედებენ, იმ ქალაქებში, სადაც სახელოსნო სამმართველო არ არსებობს, ზემოხსენებულ ებრაელებს ადგილობრივი ქალაქის გამგეობა, ქალაქის თავი, ან მოურავი აძლევენ, სახელოსნო მოწმობის მაგივრად, მოწმობას, რომ ისინი ამა თუ იმ ხელობისანი არიან. ებრაელებს აფთიაქრის თანაშემწეებს, დანტისტებს, ფერშლებს, ბებიებს. ქვის მთლელებს, დურგლებს, კალატოზებს, მებადეებს, ქუჩების მომკირწყლელთ და მიწის მთხრელებს ნება აქვთ იცხოვრონ მათთვის საცხოვრებლად შემოფარგლულ ადგილებს გარედ. ზემოდ ჩამოთვლილ ხელობის პირთ მოწმობებს აძლევენ ქალაქის გამგეობანი, ქალაქის თავები და მოურავები. იმ ებრაელებს, რომელნიც მათთვის საცხოვრებლად შემოფარგლულ ადგილებში სცხოვრობენ, ზემოხსენებულ მოწმობებს ადგილობრივი ქალაქის სამმართველოები აძლევენ. ებრაელებს, მათთვის შემოფარგლულ ადგილებს გარედ ცხოვრების მოწმობას აძლევენ კანონთა მე 796 მუხ. დამატების მე-13 მუხ. ძალით. ეს ინსტრუქციები უნდა გამოცხადდეს საყოველთაოდ. საჩივარი ქალაქის სამმართველოებსა და მოურავებზე მოწმობების მიცემის საქმეში საგუბერნიო სამმართველოებს უნდა წარედგინოს. თუ რომელიმე ზემოხსენებულ ხელობის ებრაელთაგანმა მიანება თავი თავის ხელობას, იმ შემთხვევაში, იგი უნდა გაიგზავნოს მისთვის სამუდამო საცხოვრებლად დანიშნულ ადგილზე. ზემოხსენებულ ებრაელების წესიერ ცხოვრებას უვლებს ადგილობრივი პოლიცია.—მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა, ბალტიის მხრის გუბერნიების სასწავლებლების უფროს კლასებში სამღვთო სჯულისა, სახელმძღვანელო გალობისა და ადგილობრივ ენების სწავლება სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს. არითმეტიკის სწავლების დროს ერთ-კლასიანსა და დანარჩენ პირველ დაწყებითის სკოლების პირველ კლასებში რიგის სათვალავი დედაენაზე უნდა იხმარონ, რუსულის გარდა, მოსწავლეების სამშობლო ენა.

კოვნა. გუბერნატორმა ცირკულიარი გამოსცა, რომლითაც ისურჩევს საერობო უფროსებს, ყურადღებითა და პატივისცემით მოეპყრონ სოფლების სულიერს ურიდობებს, როგორც კანონიერ დაწესებულებებს გლეხებისას.

სიმფეროპოლი. „ზოტკინის"-ის კამანდირ გოლიკოვის ქვრივი არღვევს გაზეთების ცნობას, [illegible] არეულობას მოხდებოდა, მაგრამ არ მომხდარა უთ- მებიო.

ლიბავა. გემ „აზია"-ით წავიდა საზღვაო მინისტრი აბოში. წასვლისას მან შეკრიბა მთელი ეკიპაჟი და წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც აცნობა მეფის წყალობა, ხელ-ახლა ატარონ მატროსებმა იარაღი, წართმეული 16 ივნისს არეულობის შემდეგ. მინისტრმა იმედი გამოსთქვა, რომ კამანდები ერთგულის სამსახურით ჩამოირეცხენ წაცხებულ ჩირქს. შემდეგ გადიოხადეს პარაკლისი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

21 ივლისი

ნიუ იორკი. „ნიუ-იორკი-ტაიმს"-ის სიტყვით, იაპონიას გადაწყვეტილი აქვს არ დასტოვოს მანჯურია, რამდენადაც ეს სჩანს ფუნ-სიულის გზის აღმოსავლეთ-ჩინეთთან შეერთებისთვის მზადებიდან. იაპონიამ შეუკვეთა ამერიკაში 350 ხიდი, 150 ორთქლ მავალი და 2 ათასი ვაგონი. მასალა რკინის გზით უნდა გადაზიდონ.

ნიუ იორკი. საბოლოოდ გადაწყდა, ზავის შესახებ კონფერენცია პორტ-სმუტში გაიხსნება 26 ივლისს. დაწვრილებითი ცნობები ზავის შესახებ გამუდმებით იცვლება. კონფერენციის გახსნის ვადა დააჩქარეს რუსების რწმუნებულების სურვილით.

ოსტერბეი. სატომ უთხრა ერთ კორესპონდენტს, ორივე დელეგაცია მონდომებულია ზავი ჩამოვარდესო. სატოს სიტყვით, ზავი იმ შემთხვევაში ჩამოვარდება, თუ ორივე მხარე საკმაო კეთილგონიერებას გამოიჩენს.

ნიუ იორკი, 22 ივლისი. იაპონიის რწმუნებულნი წავლენ ოსტერბეიში ხვალ კრეისერ „ტაკომა"-თი, დილის 9 საათ. რუსის რწმუნებულნი უკან გაჰყვებიან კრეისერ „ჩატანუგა"-თი. დღეს ვიტტე და როზენი დელეგატებითურთ წირვას მოისმენენ რუსეთის ეკკლესიაში დედოფალ მარიამ თეოდოროვნას ასულის დღეობის გამო. ამის შემდეგ ვიტტე და როზენი. ოსტერბეიში წავლენ და იქ რუზველტს ესტუმრებიან კერძო აუდიენციაზე. შაბათს რუსების და იაპონიის დელეგატებს წარუდგენს ერთმანეთს რუზველტი, რის შემდეგ პორტ-სმუტისაკენ გაემგზავრებიან და მივლენ 25 ივლისს დილით.

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. რუსების დელეგატებმა უარი განაცხადეს ჟურნალისტებთან მუსაიფზე. ვიტტემ სთქვა, ვერაფერს ვერ მივუმატებ იმას, რაც უკვე ითქვაო. ვიტტემ ამალის ორის წევრით ინახულა ფონდის ბირჟა და დიდხანს დარჩა იქა. იქიდან დაბრუნებისას ვიტტეს ოვაციებით მიეგებნენ განსაკუთრებით სლავიანები. მუნიციპალიტეტები და მთავრობა მონაწილეობას არ იღებდნენ. ვიტტეს პატივი სცეს, როგორც ყველაზე ბრწყინვალესა და ლიბერალურ სახელმწიფო მოღვაწეს რუსეთში.

ოსაკა. ჩრდილოეთ კორეიაში ძლიერ დიდი ნიაღვარი მოვიდა, რაც სამი წელიწადია, არ ახსოვთ. ტუმენზე ერთი ხიდი აღარ დარჩა, გზებზე გავლა შეუძლებელი შეიქნა.

ტოკიო. იუწყებიან, რომ მოპირდაპირეთა პოსტები, ტუმენის სამხრეთით, თოფის ერთ გასროლის მანძილზე არიან ერთმანეთისაგანო. ახლო მომავალში უსათუოდ შეტაკება მოხდებაო.

სიტკა. კუროპატკინის ინიციატივით მის სახელზე მისულ შემოწირულებას ომში დაჭრილ მსხვერპლებს ურიგებენ ერთდროულ დახმარებად; ჩქარა გამოილევა დახმარების საშუალება. მსხვერპლი ბევრია, რისთვისაც საჭიროა კეთილ ადამიანების წვლილი.

კამიშინი. გადაიწვა დიდ სოფელ კრასნი იარის ნახევარი. ცეცხლმა გაანადგურა 800-მდე სახლ-კარი და მთელი ჭირნახული. 3 ათასი სული მცხოვრები უთავშესაფროდ და ულუკმაპუროდ დარჩა.

მარიინსკი. გამოცხადდა, რომ აგვისტოდან შეწყვეტილი იქნება კერძო ტვირთების გადატანა ტომარის გზით.

ლონდონი. საზღვარგარეთის პასპორტების შესახებ ბრალდებულნი მაკკულოხი და ბრასიფორდი განთავისუფლდნენ, რადგანაც მათ გადაიხადეს მისაჯული ჯარიმა.

მადრიდი. დღეს გარდაიცვალა ინფანტ ფერნანდე.

სტოკჰოლმი. მეფე ოსკარმა სადილზე მადლობა გამოუცხადა გერმანიის იმპერატორს მეგობრულ გრძნობებისთვის.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. ბოლოს დროს იაპონიის ჯარი მხოლოდ სახალინსა, დეკასტრის ბუხტასთან და ჩრდილოეთ კორეიაში [illegible] ლინზე; გენ. ტაკენაუჩი მალე სრულ ანდერძს აუგებს ამ მცირე კუნძულს.

„რუსკოე სლოვო"-ს ატყობინებენ გუნჩულინიდან: მანჯურიის ჯარის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. სახალინსა, კორეასა და პრიმორის ოლქში იაპონელთა მოქმედება ძლიერდება. დეკასტრი იაპონელებმა დაიჭირეს. გაძლიერებული წვიმებია.

იაპონიის ფლოტიც მეტად ბეჯითად მოქმედებს და დიდ მხნეობას იჩენს. ვლადივოსტოკს და საზოგადოდ უსურიის ოლქის ნაპირებს ვიდრე ამურის შესართავამდე ზღვიდან ალყა შემოარტყა და არც ერთს გემს აღარ უშვებს რუსის სამფლობელოში. უსურიის ოლქის ნაპირებიდან და ვლადივოსტოკიდან მცხოვრებლები აჩქარებით იყრებიან და სხვა, უფრო უშიშარ ადგილებში მიდიან.

„რუსკოე სლოვო"-ს ატყობინებენ ხაბაროვსკიდან: ვლადივოსტოკიდან დიდძალი ხალხი მიდის ბლაგოვეშჩენსკშიო.

მანჯურიაში. სამაგიეროდ ომის უმთავრეს ასპარეზზე ოთხ თვეზე მეტია, რაც სამხედრო მოქმედება შესდგა და წვრილ შეტაკების გარდა არა ხდება-რა. რუსისა და იაპონიის ჯარი თითქმის ისევ წინანდელ პოზიციებზე დგანან და წინ არ მიდიან. ბევრს უკვირს იაპონელ მთავარ-სარდლის ქცევა და ვერ გაუგიათ, რატომ აქამდე წინ არ გაილაშქრა და რუსის არმიას ბოლო არ მოუღო, ისე როგორც ადმირალმა ტოგომ ცუსიმასთან მოუღო ბოლო რუსის ფლოტსაო. ამის პასუხად ზოგი ამბობს, მუკდენისა და ტელინის აღებით და რუსის ჯარის განადგურებით, იაპონელებმა ომი ხმელეთზე საბოლოოდ მოიგეს და წინ გალაშქრება სრულიად აღარ ესაჭიროებათო. მარშალმა ოიამამ მაშინ ერთის დაკვრით გადასწყვიტა სამხრეთ მანჯურიის ბედი და თუ რუსებს შერიგება არა ჰსურთ, ეხლა თითონ უნდა მიიტანონ იერიში იაპონელებზე და დაკარგული ადგილები დაიბრუნონო. ამიტომ რუსის მთავარ-სარდლის ქცევა უფრო საკვირველია, მით უმეტეს, რომ გენ. ლინევიჩი მუდამ ირწმუნება, ჯარი მშვენიერ გუნებაზეა, ბრძოლა ენატრება და გამარჯვება სწამსო. „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი ამნაირად ჰხსნის სამხედრო მოქმედების შეჩერებას: „რუსის არმია დღესაც ძველ პოზიციებზე დგას, მეინარე სუნგარიდან 220 ვერსტზე და ხარბინიდან 320 ვერსტზე. იაპონელებიც რუსის არმიის პირდაპირ დგანან. მეხუთე თვე დაიწყო, რაც ორივე მოპირდაპირე ამ ადგილებში დგანან და თითქმის არას თავობენ. თუ ჯარის შევსებას ელიან, ოთხი თვე საკმაო ხანია ამ საქმისათვის. კაცს მით უფრო ვერა გაუგია რა, რომ დეპეშები ხშირად იუწყებიან, ვითომ რუსის არმია ძლიერია იაპონიისაზე და ირწმუნებიან, მომავალ ბრძოლაში უსათუოდ რუსის არმია გაიმარჯვებსო. მაგრამ ნამდვილად-კი გამარჯვებას დღემდე ვერ მოვესწარით, ამიტომ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამა თუ იმ მიზეზით, სრულის 4 თვის განმავლობაში ჩვენის მთავარ-სარდლის შტაბს კარგად ესმოდა გამარჯვების შეუძლებლობა, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში უსათუოდ მივესწრობოდით იმ გამარჯვებას. მართლაც და, მარშალ ოიამას სასიამოვნოდ ხომ არ იგვიანებს რუსის მთავარ-სარდალი.

მარშალი ოიამა-კი, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, შემდეგის მიზეზით არ მიდის წინა: ზავის იმედი აქვს და არ უნდა, რომ თითქმის ტყუილ-უბრალოდ დაღუპოს მრავალ ათას ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე და თუ ვინიცობაა, მოლაპარაკება სასურველად არ დატრიალდება, მაშინ-კი სულ სხვანაირად მოიქცევა იაპონელი მთავარ-სარდალი. გარწმუნებთ, რომ მაშინ დაგვიანებასა და სიმძიმეს ადგილი აღარ ექნება. გუნჩეულინისა და ხაილუნჩენის მინდვრებზე მაშინვე ახალი დიდი სისხლის ღვრა და ბრძოლა მოხდება".

ინგლისელი კორესპონდენტები ირწმუნებიან, მარშალმა ოიამამ წარსულ ოთხის თვის განმავლობაში თავისი ჯარი შეავსო, მარჯვე პოზიციები დაიჭირა და რიგზე მოემზადა რუსის ჯარის დასამარცხებლადო. ამდენხანს იმიტომ მოუნდა მზადებას, რომ მეტად დიდ მანძილზე მოუხდა პოზიციების დაჭერაო. ამას გარდა, იაპონელები ჩრდილოეთ კორეის და სახალინის დაჭერამაც დააბანდაო. მომავალი ბრძოლა ცხადად დაანახვებს ყველას, რომ იაპონელები უსაქმოდ არ იყვნენ გაჩერებულნი ამდენ ხანსაო. (რ.).

რა გუნებაზეა რუსის ჯარი? ინგლისურ ნი წყაროდან [illegible] ჯარი სულაც არაა იმ ბრწყინვალე გუნებაზე, როგორც რუსულ ცნობებიდან გამოდისო. მართალია, რკინის გზა მუკდენის ბრძოლის შემდეგ გაჩქარებით მუშაობს და მაშველი ჯარი მიჰყავს, მაგრამ თვით ხილკოვის მეცადინეობა მაინც და მაინც ბევრს ვერას გახდა და რკინის გზას წინანდელზე მაგდენად ბევრი ჯარი როდი ჩაჰყავს. რუსის არმია ეხლა, ეტყობა, ჩაცმული და მაძღარია, მაგრამ რაც შეეხება ჯარის სულიერ მდგომარეობას, ამ მხრივ ჯარი ეხლა უფრო გულგატეხილია, სინამ წინად იყო, ეხლა უფრო ნაკლები აღფრთოვანება ეტყობა. ცნობები საზავო მოლაპარაკებაზე, ცხადია, სალდათებს შინ დაბრუნების სურვილს უძლიერებენ. რუსის სალდათებს არა სწამთ თავიანთ უფროსებსავით გამარჯვება და სულაც არა ნატრობენ ბრძოლას; პირიქით, როგორც ბევრნი ირწმუნებიან, ძლიერ უხალისოდ წავლენ საბრძოლველად, ბევრნი პირველსავე მარჯვე შემთხვევის დროს გაიქცევიან იაპონელებთან, რადგან სიცოცხლის შეწირვა მეტ, უსარგებლო მსხვერპლად მიაჩნიათ. რუსის უფროსები დეპეშებსა ჰგზავნიან და უმაღლეს მთავრობას სთხოვენ, ომი განვაგრძოთო. მართალია ეს დეპეშები, მომეტებულ ნაწილად, გულწრფელადაა დაწერილი, მაგრამ აფიცრების ნაწილი მხოლოდ იმ აზრით ჰგზავნიან ამნაირ დეპეშებს, რომ ზავის ჩამოგდების შემდეგ უფლება ჰქონდეთ ილაპარაკონ, მხოლოდ შერიგებამ დაუშალა არმიას თავის სახელის აღდგენაო. მაგრამ, ვინ იცის, იქნება ასეთ დეპეშებს გავლენაც ჰქონდეთ ზოგიერთზე. („ნ. ო.").

კომურას მოთხოვნა. „ბერლ. ლოკალ. ანცაიგერ"-ს ატყობინებენ ვაშინგტონიდან: დიპლომატთა წრეებში ხმა დადის, ბარონმა კომურამ, სანამ რწმუნებულად დანიშვნას დასთანხმდებოდა, მოსთხოვა მთავრობას კონფერენციის დაწყებამდე იაპონიამ ახალი სისხლი უნდა გამოსცეს, რომ თუ ზავზე მოლაპარაკება სასურველად არ დასრულდა ომის გაგრძელება შეეძლოს; იაპონიის ჯარმა სახალინი უნდა დაიჭიროს, ვლადივოსტოკისაკენ გაილაშქროს და მანჯურიაში რუსის ჯარის დასამარცხებლად დაემზადოსო („რ. ვ.").

რამდენ ხანს გასტანს ზავზე მოლაპარაკება. რუსეთის რწმუნებული ვიტტეც ჩავიდა ვაშინგტონში და მალე ზავზე მოლ

პარაკებს გაჰმართავს იაპონიის რწმუნებულებთან. ზოგი კორესპონდენტი იუწყება, მოლაპარაკება დიდხანს გასტანს და იქნება ოკტომბერში დასრულდესო. ვიტტეს უთქვამს ჟურნალისტებისათვის: მოლაპარაკება სულ სამ კვირამდე გასტანს, საქმეს არ გავაჭიანურებთო. თუ იაპონელები მეტად მძიმე პირობას წარმოადგენენ, ხელად შევსწყვეტ მოლაპარაკებასაო. („რ. ვ.").

კომურასაც უთქვამს, თუ რუსის რწმუნებულები წარდგენილ პირობას არ დასთანხმდებიან და საქმის გაჭიანურებას მოინდომებენ, მაშინვე შევსწყვეტ მოლაპარაკებასაო. („ს. ო.").

იაპონიის პირობა. იაპონიის წარმომადგენელს დიპლომატს ბარონ სუემატსუს პარიზში უთქვამს ჟურნალისტებისათვის: ცნობები იაპონიის პირობაზე სწორე არაა. საზავო პირობას პირველად რუსეთის რწმუნებულთ წარუდგენენ, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იაპონიის წარმომადგენლები რუსების რწმუნებას შესაფერისად იცნობენო. სუემატსუ იმასაც არა ჰმალავს, რომ პირველი ადგილი მხედრო საზღაურს უჭირავს, როგორც აუცილებელ პირობასაო. („რ. ს.").

ბიუროკრატიის ჯიუტობა

რუსეთის საზოგადოებამ ჯერაც არაფერი იცის იმ რეფორმის სვე-ბედის შესახებ, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელის. თითქოს ყოველ დღე იბეჭდება გაზეთებში ხან ერთი, ხან მეორე ცნობა ეგრედ წოდებულ „ბულიგინის პროექტის" შესახებ,—ცნობა, რომელიც ან პროექტის შინაარსს შეეხება ან პროექტის გამოქვეყნების ვადას; მაგრამ ყველა ეს მხოლოდ ხმებია, ხშირად ერთი მეორის საწინააღმდეგო, ნამდვილი ამბავი კი არავინ იცის...

მიუხედავად ამისა, ყველა იმის განხილვამ, რაც ამ საგანზე დაიბეჭდა ან ითქვა, რუსეთის საზოგადოებას შეადგენინა საკმაოდ გარკვეული აზრი ბულიგინის პროექტის ხასიათსა და ძირითად მუხლების შესახებ; ასე რომ ამ ჟამად საზოგადოებრივმა აზრმა კიდევაც დააფასა ახლად შემუშავებული კანონ-პროექტი.

თუ მაღალ წრეებში მართლა აქცევენ ყურადღებას საზოგადოების აზრსა და განცხადებას (რაც ამას წინად პრესაში იყო აღნიშნული), იმ შემთხვევაში იქ ვეღარ ვერ აუქცევენ და თვალ-ყურს ვერ აამორებენ იმ ამბებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ უკანასკნელ დროს მთელს რუსეთში. ახლა ეჭვიც არავის არ უნდა ჰქონდეს იმის შესახებ, რომ რუსეთის პოლიტიკურ აზროვნების წარმომადგენლებმა [illegible] საფუძველნი, რომლებზედაც აგებულია სახალხო წარმომადგენლობის ოფიციალური პროექტი. თვით ვიწრო კონსტიტუციონალისტურ მიმართულების წარმომადგენლებმაც შესაძლოდ ვერ დაინახეს ბულიგინის პროექტის მოწონება. ყველასათვის, გარდა ორიოდ ფეხატრაკ-ის-რეაქციონერისა, ცხადია, რომ მოსავალ რეფორმის განხორციელება იმ სახით, რა სახითაც იგი ბულიგინმა შეიმუშავა, ქვეყანას ვერ დააკმაყოფილებს, ვერ დაამშვიდებს და რუსეთს თავიდან ვერ ააცილებს იმ საშინელ ამბებს, რომელსაც უთუოდ უნდა მოველოდეთ, თუ ჩვენი სახელმწიფო წესწყობილება დაუყოვნებლივ და ძირიანად არ იქმნა შეცვლილი მშვიდობიანის გზითა და საშუალებით.

მეტად ცუდის აზრისა უნდა იყოს რუსის საზოგადოებაზე ის, ვისაც ჰგონია, რომ ამ საზოგადოებას დააკმაყოფილებს სახალხო წარმომადგენლობის პაროდია, რომელსაც სახელად „სახელმწიფო საბჭო" უწოდეს. ბევრი ნაკლულევანება აქვს ჩვენს საერობო და საქალაქო თვითმმართველობას; მიუხედავად ამისა იქ მაინც დაცული არის სახალხო წარმომადგენლობის პრინციპი, თუმა ცუდათ და მცირედ. ჩვენმა ადგილობრივმა თვითმმართველობამ აღზარდა უკვე რამდენიმე თაობა რუსეთის საზოგადო მოღვაწეებისა, განუვითარა მათ კრიტიკული აზროვნება საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე და ამგვარად ხელი შეუწყო რუსის საზოგადოების პოლიტიკურ განვითარებას. მარტო ამ გარემოებას შეეძლო მოემზადებინა ნიადაგი ბულიგინის პროექტის უარყოფისათვის; მარტო ამას შეეძლო უარ ეყო ის პროექტი, რომელიც სახალხო წარმომადგენლობის სახით ჰქმნის ახალს ბიუროკრატიულს დაწესებულებას.... შეეძლო და უარყო კიდეც.

ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო იმ სახალხო წარმომადგენლობის პროექტით, რომელიც სახელმწიფო საბჭოს სრულს გამგებლობას მთავრობის მიერ არჩეულ თავმჯდომარეს საძლევს. რუსის ხალხი იმდენად მომწიფდა პოლიტიკურად, რომ აღარ შეუძლია შეიწყნაროს ისეთი სახალხო წარმომადგენლობა, რომელსაც თითქოს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება საკანონმდებლო მოღვაწეობაში. ქვეყანა მწარე გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ყოველ უბედურების მიზეზი უპირველესად ის არის, რომ მოხელეობა უკონტროლოდ მოქმედებს, ბიუროკრატიას არა სწადს საზოგადოებრივი კონტროლი; მიუხედავად ამისა, ბულიგინის პროექტი თითქოს სრულიად არ აკანონებს საზოგადოების კონტროლს, უარიონ კომედიად სახავს მას, რადგან ძალა კონტროლისა იმით გამოიხატება, რომ საბჭოს [illegible] მთავრობას შეეკითხოს... რუსის საზოგადოებას არ შეეძლო აგრეთვე დაკმაყოფილებულიყო იმ წესით, რომლის ძალით ხალხის წარმომადგენელთა პალატა (სახელმწიფო საბჭო) უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფო [illegible], რომელიც თავის შედგენილობითაც და თავის ტრადიციებითაც ნამდვილ ბიუროკრატიულს დაწესებულებას წარმოადგენს. მარტო ეს გარემოება,—სხვა ნაკლულევანებათ რომ არაფერი ვთქვათ,—საკმარისია ბულიგინის პროექტის უარსაყოფად.

სახელმწიფო საბჭოს პროექტის შესახებ [illegible] რუსეთის საზოგადოებაზე. თუმცა არავინ არ მოელოდა კარგს რასმე; თუმცა არავის არ ძალუძდა თავში, რომ საზოგადოების დაუხმარებლად და ბიუროკრატიულ კანცელარიებში დამზადებული პროექტი კარგი გამოდგებოდა; თუმცა ყველა ელოდა, რომ [illegible] ქვეყანას [illegible];—მაგრამ ისეთ რასმე მაინც არავინ მოელოდა, რასაც ახლად გამოცხადებული პროექტი წარმოადგენს... ამიტომ საზოგადოების აღშფოთებასაც [illegible] დროს და ახლა იქნება საქმე, რომ კრიზისი [illegible] დასრულდეს. ასეთ გარემოებაში [illegible] გზით [illegible] თავს [illegible], ვისაც ყოველ ღონესა ხმარობდა და ყველაფერს სთმობდა, რათა ყველასათვის სასურველი რეფორმა განხორციელებულიყო. უკანასკნელი ამათი იმედი იმაზეა დამყარებული, რომ ხალხს არ სურს ძალადობას მიჰმართოს, რომ თვით ხალხია მოწადინებული მშვიდობიანის რეფორმებით იქმნას ძლეული შინაური გაჭირვება, რომლის მოსპობის საჭიროება 18 თებერვლის რესკრიპტშიაც იყო აღნიშნული. ხალხის ასეთს სურვილსა და წადილს წინ ეღობება ბიუროკრატია, რომელიც ჯიუტობს და არაფრისთვის არ ჰსურს ხალხს დაუთმოს. მიუხედავად ამისა ხალხმა და საზოგადოებამ კიდევ უნდა სცადონ და დაჟინებით ერთხმად და ხმამაღლა უნდა გამოსთქვან თავისი მოთხოვნა. იქნება ახლა მაინც იქმნას ძლეული ბიუროკრატიულ რეჟიმის საოცარი ჯიუტობა. მხოლოდ ამ პირობით აქვთ კიდევ იმედი მშვიდობიანის გზის მოტრფიალეთ სასურველად დაათავონ რეფორმის საქმე და თავიდან ააცილონ რუსეთს ბევრად იმაზე უსაშინლესი ამბები, რომლის გაგონებაზე ახლა რუსეთთან ერთად მთელი განათლებული ქვეყნიერება თრთის. („რ. ვ.").

სოფლად

აგრარული საკითხი აფხაზეთში და თავ. გ. შერვაშიძის მამულის მოიჯარადრენი.

აგრარული საკითხი სოხუმის ოლქის მკვიდრ აფხაზთა შორის არ არის გამწვავებული, რადგან თვითეულ მოსახლეს შედარებით საკმაო მიწა აქვს: ბატონ-ყმობის გადავარდნის დროსვე აფხაზთ მიეზომათ საერთო მიწათმფლობელობის საფუძველზე თვითოეულ საზოგადოებას საკმაო სახნავ-სათესი, საძოვარი და ეწერ-ტყე, თუმცა ყოველ მოსახლისათვის დანიშნულ მიწის ნორმა ძლიან მცირე იყო, სამი დესეტინიდან შვიდ დესეტინამდის იმის მიხედვით, თუ რამდენი სული იყო ოჯახში, უცხო ქვეყნებიდან გადმოხვეწილ კოლონისტებს-კი მიეზომათ 10 დესეტინიდან 30 დესეტინამდის თითო ოჯახს. ასეთია ბედის დაცინვა: მკვიდრთ სამი დესეტინა, ტრაპიზონელ ბერძენთ კი—30 დესეტინა მიწა!

ამ კოლონისტებიდან გამონაკლის შეადგენდნენ მეგრელები, რომელთაც, ორი სოფლის გარდა, მიეზომათ ხუთ-ხუთი დესეტინა თითო ოჯახს. თუმცა თვითეულ ოჯახს კანონით ცოტა მიწა მიეცა, მაგრამ ნამდვილად კი ყველა სარგებლობდა სარეზერვო ფონდიდან იმდენ მიწით, რამდენის დამუშავებაც შეეძლო. აი ამიტომაც დღეს თითქმის გლეხი-აფხაზი არსად არ მუშაობს მებატონის მამულზე, გარდა იმ 123 მოსახლე აფხაზისა, რომელნიც [illegible] მებატონეთა მამულზე არიან დასახლებულნი. აფხაზთ უჭირავს საქმეს საბალახო: თითქმის ყოველ სასოფლო საზოგადო მიწას ირგვლივ აკრავს კერძო პირთ-მებატონეთა მამულები. ზოგიერთა კერძო მესაკუთრეებმა ულევ წყაროდ გაიჩინეს თავიანთი მამულები: გადაასცდებს თუ არა აფხაზის პირუტყვი საზღვარს, მაშინვე იჭერენ და თუ სამი მანეთი არ მიართვი, პირუტყვს არ გიბრუნებენ. ზოგიერთი მებატონე ისე გალაღდა, რომ მცხოვრებთა პირუტყვებზე სროლაში ვარჯიშობენ!..

თუ თვით აფხაზთა შორის არ არის გამწვავებული ეს საკითხი, სამაგიეროდ ადგილობრივ კერძო მესაკუთრეთა და სხვა და სხვა კუთხეებიდან ჩამოსახლებულ არენდატორთა შორის ძლიან გამწვავებულა. როგორც მოგეხსენებათ, ნებსით თუ უნებლიეთ 1865—1866 წ.წ. და 1876—1877 წლებში აფხაზთა საუკეთესო ნაწილის სათათრეთში გადასახლების შემდეგ მათი დიდძალი მიწა-მამული დარჩა უპატრონოდ, პარტახად, რომელიც უხვის წყალობის ხელით დაურიგდა ხარისხისა, ოჯახურ მდგომარეობისა და დამსახურების მიხედვით როგორც ადგილობრივ თავად-აზნაურთ, ისე ყველა იმას, ვისაც ოდესმე უთარეშნია აფხაზეთში, ვითარცა უფლებამოსილ კაკარდოსანს. პირველად, როდესაც ახლად მოზომილ ადგილ-მამულებს დაეპატრონნენ, ჩვენი თავად-აზნაურობა თავ-გადაგლეჯილი დაეძებდა მოიჯარადრეებს უმიწობით ილაჯ-გაწყვეტილ მეგრელობაში. მეგრელებიც ეტანებოდნენ აფხაზეთს, მემამულენი ტკბილად და რბილად ეპყრობოდნენ მოიჯარადრეთ, რადგან ეშინოდათ, არ გაგვექცნენო. ხოლო რაც დრო მიდიოდა, უფრო და უფრო უარესდებოდა მათი ცხოვრება, და ბოლოს აუტანელიც შეიქმნა. ამ ჟამად მოიჯარადრეთა ყოფა-მდგომარეობის გასაცნობად მოვიყვან თავად გ. დ. შერვაშიძის მამულზე მოსახლე-კარე მოიჯარადრეთა დუხჭირ ცხოვრებას, და თან დავსძენ,—ამ მამულის მოურავმა ბ-ნმა მიხელ თოფურიძემ იმდენი ხერხი და უნარი გამოიჩინა, რომ სამაგალითო და მისაბაძი შეიქმნა დანარჩენ მემამულეთა მოურავთათვის.

თავადი გ. შარვაშიძის პაპამ ხასან-ბეიმ და მამამ სეით-ბეიმ (დიმიტრიმ) დიდი სამსახური გაუწიეს აფხაზეთში რუსეთის დამკვიდრებას და ამ შემთხვევაში თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ თავ-თავის დროზე. შვილიც წარჩინებული გამოვიდა, რის გამოც ყველაზე საუკეთესო მამული—თვალი აფხაზეთისა—მიეზომა სამკვიდრო საკუთრებად, ვგონებ 3500 დესეტინამდის. ეს მამული შავი-ზღვას პირად მდებარეობს და მეტად ნაყოფიერი ნიადაგი აქვს. გაჩნდა თუ არა ომი, დაწყნარდა თუ არა ცხოვრება, ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან დაასახლეს მოიჯარადრენი. თუ რა ტანჯვა-წვალება გამოიარეს ამათ ახლად აოხრებულ და აკლებულ კუთხეში, კალმით აუწერელია. მხოლოდ იმან მოხიბლა საცოდავი მუშები, რომ შედარებით სამეგრელოში არსებულ პირობებისა საიჯარადრო პირობანი ხელსაყრელი იყო: თითო ქცევა ეზო უფასოდ, საშენებელი ხე-ტყე მუქთად, წაბლი, ფიჩხი და ხმელი შეშა აგრეთვე მუქთად, ხოლო ნედლ-მოსაჭრელ საჟენ შეშის ბაჟი მანეთი და ღალად მოსავლის მეოთხედი, რომელიც გარჩეული უნდა მიეტანა მებატონისათვის თავის ურმით. თორმეტ სულ საქონლის ძოვება შეეძლო უბაჟოდ თვითოეულ ოჯახს. ასე იყო წინედ, ვიდრე მოურავად დაინიშნებოდა ზემოდ ხსენებული თოფურიძე. როგორც ზევით მოვიხსენე, მეტის მეტი ჭკუა და უნარი გამოიჩინა ახალმა მოურავმა. შეუმჩნევლად და ნელნელა შეუდგა საქმეს და იქამდის მიიყვანა, რომ წრეულს აშკარად და გაბედულად მოიჯარადრეებმა ღალის მიცემაზე უარი შეუთვალეს. განგებამ იხსნა „ნიჭიერი" მოურავი და სიცოცხლე მოუსწრაფა, რომ არ დამტკბარიყო თავისი ნამოქმედარით.

აი დღევანდელი პირობანი: ღალად ყოველივე შემოსავლის მეოთხედი, საჟენ შეშის ბაჟად მანეთის მაგიერ ოთხი, ოთხ-ნახევარი მანეთი, ათ სულ საქონელს ზევით—თითო სულზედ საბალახო თითო აბაზი თვეში. მაგალითად, ვინმე პახუს ნორმაზედ ზედმეტ ღორს, რიცხვით მეთერთმე ტეს, ეყოლა თორმეტი გოჭი, თავის ღო რის ასეთ უზრდელობისათვის საცოდავმა პ ხუმ ყოველ თვე უნდა იხადოს ცამეტ-ც მეტი აბაზი, თან თუ ჰირი გაერია გოჭებ მესამე-მეოთხე თვეში, თქვენი მტერი,—ა დენმა ფულმა და შრომამ ტყუილად ჩაუ როს! თვიურად თითო აბაზი საბალახო არ სებობს სოფლებში: ვარჩესა, ბაბუშარა და ფშაფში, ხოლო სოფელ გუმისთაში— თვიურად ორ-ორი აბაზია. ღმერთმა უ ხინოს ბატონს მოურავს, რომ გუმისთე ლებს აუკრძალა ღორის შენახვა, თორ მამასისხლად დაუჯდებოდა გუმისთელ არე დატორს ღორის ხორცის სიყვარული თანაც გუმისთელებს ცხენების გაშენება აკრძალული აქვთ, ალბად, იმ მოსაზრებით რომ მებატონის ცხენის ჯოგის ჯიში ა გაფუჭდეს შერევით. მეგრელი და უკამე ჩობა ხომ წარმოუდგენელია, და მოიჯა რადრეთ ამ სისუსტით ისარგებლა ბ-ნ მოურავმა და თითო უღელ კამეჩს წლიუ რად გააწერა თორმეტი მანეთი. ყველ ამას ზედ დაუმატა წლიურ გადასახად ეზოს ფული ხუთ-ხუთი მანეთი. გარჩეუ სიმინდის ღალის მოტანა მებატონის სას მინდემდის ხომ გლეხის მოვალეობაა, მ გრამ მაგარი ის არის, რომ ამ მოვალეო ბის სარფიანად გამოყენებაც შეიძლეს: წ სად შემოიღეს, რამდენი ურემი სიმინდი ერგება მიწათ-მფლობელს, იმდენი მანეთ უნდა მიართვას მას გასატანად მიწათმფლ მელმა, ალბად, იმ მოსაზრებით, რომ ურ ზედ შეიძლება დაიდვას ოცი გოდორიც 15—12 გოდორიც... ამას ზედ ემატე $12^1/_2$—15 კაპეიკი, თითო ურემზედ სიმი დის სასიმინდეში ჩასაყარი, რომელსაც ე გაძვალ-ტყავებული გლეხი უხდის თავად რამდენი ურემი სიმინდი ერგება მებატ ნეს, იმდენი მანეთი ფულად უნდა მაარ ვას გლეხმა „ჩალის" ფასად მიუხედავა იმისა, ისარგებლა თუ არა იმან ჩალი მოურავის მიერ დარღვეულ პირობით— ლის ფასია ურემზედ ხუთ-ხუთი შაურ ერთი ახირებული ჯარიმაც არსებობდა: დის მოხელე, დახედავს კალოს და ეკით ბა, რამდენი ურემი სიმინდი იქნებაო,— ვაი მის ბრალს, თუ სწორედ არ გამოუ და: თუ დააკლდა გლეხის სიმინდით შ სებენ, თუ ზედ მეტი დარჩა, აჯარიმე ორ-სამ მანეთით, აქამ და რატომ მარ ლი არა სთქვიო!

მთელი სისტემა ჯარიმებისა ჰქონდა შ მუშავებული ბატონს მოურავს: ყველა დ ბალი ხარისხოვანი მოხელენი უჯამაგირო ჰყავდა; „რად უნდათ ჯამაგირები, ისედა ხელს კარგად მოითბობენო", იტყოდა ხოლ მე. ჯარიმების ჩამოთვლით მკითხველს თა აღარ მოვაბეზრებ, მოვიყვან მხოლოდ შე დეგს: ერთი გლეხის ყანაში შევიდა მეორე გლეხის ძროხა. ამ გლეხებს ნება არა ჰქონ დათ ერთმანეთში მორიგებულიყვნენ, მ შინვე იჯარიმებოდნენ პირუტყვის პატრონ და ეს ჯარიმა მებატონის მოხელეთ მი ქონდათ, დაზარალებული გლეხი-კი მშრალ ზედ რჩებოდა. ვსთქვათ, გლეხს ათი ქცე მიწა აქვს,—ავადმყოფობისა, თუ სხვა ო მოულოდნელ მიზეზის გამო ვეღარ დაიმუ შავა ათივე, მაშინვე ართმევენ დაუმუშავე ბლად დარჩენილს ადგილს, თუმცა ხშირად თითო ქცევის გატეხვა ტყე-ბუჩქებიდა 50—60 მანეთად უჯდება. რა და რა ჯ რიმა არ არსებობს აქ! წინაზედ გლეხებ მდინარე კოდორში დაეჭირათ პატარა ზ

ფელეტონი

როგორ უნდა მოეწყოს ხალხის წარმომადგენლობის საქმე

(თარგმანი)

საკმაოდ რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ხალხის წარმომადგენლობის საქმე. ამ საკითხის ჯეროვნად გადაწყვეტისთვის საჭიროა განვიხილოთ სამი კერძო საკითხი: 1. როგორი ფორმის წარმომადგენლობა არსებობდა ან არსებობს ამ ჟამად; 2. რა პირობები უძევს საფუძვლად ხალხის წარმომადგენლობის სხვა და სხვა ფორმას და 3. როგორი წარმომადგენლობა შეეფერება დემოკრატიულ სახელმწიფოს.

პირველ საკითხის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოდ არსებობდა და არსებობს ხალხის წარმომადგენლობის ოთხი ძირითადი ფორმა: არისტოკრატიული ანუ ნათესაობითი, წოდებრივი, ცენზიანი და საყოველთაო საარჩევნო უფლება.

არისტოკრატიული წარმომადგენლობა ეწოდება ისეთს წარმომადგენლობას, რომელიც დამყარებულია წარჩინებულთა ანუ, საზოგადოდ, [illegible] მეფის საგვარეულოების წარმომადგენლობაზე; ამათი შთამომავალნი იღებენ წარმომადგენლობის უფლებას არა ხალხის არჩევით, არამედ მემკვიდრეობით, თავიანთ წინაპართაგან. ამგვარ არისტოკრატიულ წარმომადგენლობის მაგალითად ახლანდელ დროში შეიძლება ავიღოთ ინგლისის ლორდთა პალატა, რომელსაც შეადგენენ ლორდები ანუ სამეფო პერები, მთავრები წარჩინებულ თავად-აზნაურთა გვარეულობისა და ეპისკოპოსები. [illegible] ლორდები—მემკვიდრეობითი კანონმდებლები არიან; ისინი ადგილს პალატში თავიანთ უფროსს ვაჟებს გადასცემენ ხოლმე. ამ პალატაში სრულებით არა აქვს ადგილი საზოგადოების მიერ არჩეულ პერებს.

წარმომადგენლობის მეორე ფორმა წოდებრივი წარმომადგენლობაა; აქ ცოტათი [illegible] წოდებასაც აქვს ხმა არჩევნებისა, მაგრამ ეს არჩევანი წოდებრივია და ამასთანავე თვითეული წოდების წარმომადგენელთ ცალკ-ცალკე აქვთ ხოლმე სხდომები, ხმას აძლევენ სხდომებზე წოდებრივად მიხედვით და ყველა საკითხის ბედ-იღბალი წყდება წოდებათა და არა წარმომადგენლების ხმების უმეტესობით. ასე იყო, მაგალითად, საშუალო საუკუნის საფრანგეთში: აქ იყო წოდებრივი წარმომადგენლობითი დაწესებულება სახელად გენერალური შტატები, სადაც მონაწილეობას იღებდნენ სამის წოდების წარმომადგენელნი—თავად-აზნაურთა, სასულიერო წოდებისა და წვრილ მოქალაქეთა (ბურჟუაზიისა), თვითოეული წოდება ცალკე მართავდა სხდომებს და არჩევდა საკითხებს, ასე რომ, თუ სასულიერო წოდება და თავად-აზნაურები თანხმდებოდნენ ერთმანეთში, მაშინ მათი ორი ხმა აჭარბებდა ბურჟუაზიის ხმას. ამ ჟამად იშვიათად როგორც წოდებრივი, ისე არისტოკრატიული წარმომადგენლობა; მან, ცოტად თუ ბევრად, წმინდა სახე შეინახა ფინლიანდიაში: აქ სეიმს ოთხი წოდებრივი ჯგუფი შეადგენს: თავად-აზნაურობა (თავად-აზნაურნი იღებენ მონაწილეობას არა არჩევით, არამედ სულ ერთიანად.—აქ არისტოკრატიული წარმომადგენლობაა), სასულიერო წოდება, ქალაქელებისა და გლეხების წარმომადგენელნი. წოდებრივ წარმომადგენლობას საფუძვლად უძევს ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, რომელშიაც საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფი გაარჩევიან ერთი მეორისაგან იურიდიულად,—უფლებებით და მოვალეობებით; აი ასეთს ჯგუფებს, რომელთაც სხვა და სხვა ნაირი იურიდიული უფლებები აქვთ, ეძახიან წოდებებს.

მაგრამ საზოგადოება წოდებებს გარდა შეიძლება კიდევ განიყოფებოდეს კლასებად. ე. ი. ისეთ ჯგუფებად, რომლებიც ერთი მეორისაგან განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავთ მათ საერთო საქმის წარმოებასა და ადებ-მიცემობაში: ასე, მაგალ., კლასებს შეადგენენ მიწად-მფლობელნი, მიწის მომუშავენი, მეფაბრიკენი, მუშები და სხ. სხვა და სხვა კლასი სხვა და სხვანაირად არის უზრუნველ-ყოფილი ქონებრივად: ზოგი მდიდარია, ზოგიც ღარიბი. ქონებაზედა დამყარებული მესამე ფორმა წარმომადგენლობისა—ეგრედ წოდებული ცენზიანი წარმომადგენლობა. ეს წარმომადგენლობა წარმომადგენელთა ამორჩევის (ეგრედ წოდებულ აქტიურ საარჩევნო უფლებას) და წარმომადგენლად არჩევის უფლებას (პასიური საარჩევნო უფლება) აძლევს იმ პირთ, რომელთაც აქვთ ქონება არა ნაკლებ დადებულ ცენზისა.

ცენზიანი წარმომადგენლობა არსებობს ინგლისში, მაგალითად, დეპუტატთა პალატაში არჩევის დროს: ამასთან როგორც აქტიურის, ისე პასიური არჩევნების უფლება აქვს ინგლისის ყველა მოქალაქეს, რომელიც იხდის ქირად იმდენს არა ნაკლებ ათი გირვანქა სტერლინგისა წელიწადში (ჩვენებურ ფულზე 100 მ.). უფრო დიდია ქონებრივი ცენზი ბელგიასა, ავსტრიასა, შვეციასა, პრუსიასა და სხვაგან. რუსეთის საერობო და საქალაქო დაწესებულებანიც ცენზიან წარმომადგენლობაზეა დაფუძნებული. საზოგადოდ ამ ჟამად ცენზიანი ფორმა წარმომადგენლობისა ძლიერაა გავრცელებული.

ბოლოს, არსებობს კიდევ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება ყოველსავე განსაზღვრას მოკლებული. იდეალის მხრივ რომ მივხედოთ ამ უფლებას, უნდა ვსცნოთ რომ სიტყვა „საყოველთაო" ნიშნავს აქტიურსა და პასიურ საარჩევნო უფლებას ყველაზე, სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, როცა ამა თუ იმ ასაკში მოვა ადამიანი. პირდაპირი საარჩევნო უფლება ეწოდება უფლებას მაშინ, როცა ამომრჩევლები დამოუკიდებლად საკუთარის ხმის მიცემით აარჩევენ თავიანთ დეპუტატებს, როცა არ არსებობს ეგრედ წოდებული ორკეცი არჩევნები, რაიც იმაში მდგომარეობს, რომ ამომრჩევლნი მხოლოდ განსაკუთრებულ პირებს დაასახელებენ და ამ უკანასკნელნი ირჩევენ წარმომადგენლების ამორჩევას. რას ნიშნავს „თანასწორი" საარჩევნო უფლება? ეს ტერმინი ორ ნაირის აზრით იხმარება: ჯერ ისა, რომ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება ეკუთვნის ერთსა და იმავე პირს ([illegible]: ზოგჯერ დეპუტატობისთვის საჭიროა უფრო უმაღლესი ქონებრივი ცენზი ამომრჩევლებთან შედარებით ასაკი და დიდის ხნის [illegible]). მეორე მხრივ ამ უფლებისა ის, რომ თვითოეულ ამომრჩეველს მხოლოდ ერთი ხმა უნდა ჰქონდეს: ამგვარად ისპობა ეგრედ წოდებული მრავლობა ხმებისა, როგორც ბელგიაში შეხვდებით ხოლმე და რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთს, უფრო შეძლებულ ამომრჩეველს, არჩევნების დროს რამდენიმე ხმის უფლება აქვს. დაგვრჩა ფარულ საარჩევნო უფლება. ეს უფლება იმაში მდგ მარეობს რომ არჩევნების დროს შეგიძლია გინდ გინდა, ის აირჩიო სხვის დაუსწრებლად ცალკე შენობაში დასწერო და ჩასდო კოლოფ ში შენი საარჩევნო ბარათი, სადაც მოხსენებულ ლი იქნება კანდიდატის სახელი და გვარი და [illegible], სადაც ჭერ არს; ამგვარად, გამოუცნობელი რჩება, ვის ამოირჩია ესა თუ ის წ მომადგენელი. ასე რომ არავითარ გავლენას ამ მხრივ არ აქვს ადგილი. გავლენა-კი ადვილი შესაძლებელი იქნებოდა; ან მემამულეები გავლენას ამომრჩეველს, ან ალა, თუ იგი კერძო სამსახურშია კერძო პირთან, ან და [illegible] რობას ემსახურება და სხვა და სხვა.

რათა სრული იყოს საიდუმლოთ საარჩევნო უფლება, საჭიროა რომ არავითარ განსაზღვრას არ განიცდიდეს იგი; განსაზღვრება კი ბევრია, მაგალითად: შეიძლება მოსთხოვონ ამომრჩეველს, რომ მან უსათუოდ გაატაროს რამდენიმე ხანი, 3-დან—6 თვემდე, იმ ადგილზე, სადაც არჩევნები უნდა მოხდეს. ეს-კი მოუხერხებელია მეტადრე მუშებისათვის, რადგან მათ პროფესია აიძულებს არა ერთხელ გამოიცვალონ ხოლმე საცხოვრებელი ადგილი.

საიდუმლოთ, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება ამ ჟამად სახელმწიფოში არსებობს,—მაგალითად, ნიის იმპერიაში, საფრანგეთსა და ჩრდ ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვ საჭიროა კი ცოტა რამ შევნიშნოთ: ზეთხ ნებული უფლება წმინდა, იდეალურ ფორმ არსად არ არის ჯერ გამეფებული; თავი და თავი ნაკლი ამ უფლებისა და მისი მოქმედების დარღვევა ის არის, რომ ქალებს არ აქვთ

თხი, სამ-ოთხ მანეთად ღირებული, რისთვისაც დააჯარიმეს 36 მანეთით. თავადის ზაქი დაიკარგა,—და იმის ფასად სოფელს გადაახდევინეს რვა თუმანი ფული; მესამე თუ მეოთხე დღეს-კი აღმოჩნდა, რომ დაკარგული ზაქი მგლებს შეეჭამათ; მიუხედავად ამისა ის რვა თუმანი მაინც აღარ დაუბრუნეს: მოურავს ებრძანა, რატომ შემოუშვეს მგელიო! მოურავისა და იმის მოხელეთა სროლაში ვარჯიშობა ბედკრულ გლეხთა ღორებზედ უკვე გაზეთებშიაც იყო გამოქვეყნებული და ამიტომ ამაზედ ვსდუმ.

გაძვალ-ტყავებულმა სამმა სოფელმა გაიშენა ორკლასიან სასოფლო სკოლისათვის ოთხი ათას მანეთად ღირებული შენობა, რომლის კურთხევაზედაც მოურავმა მოუყარა თავი მილეთის კაკარდოსან და ჩინოსან ხალხს და მთელი დღე აქეიფ-ალხინა, მეორე დღეს კი ნახარჯი გლეხებს გადაახდევინეს, აჰა და თქვენი სკოლის კურთხევის გამო ჩვენ ვიქეიფეთო!

რადგან აქ ძალიან ბლომადაა თუთის ხე და მისი ფურცელიც ჩინებულ თვისებისაა, ამიტომ ზოგიერთ კეთილის მყოფელთა რჩევით ხალხმა მეაბრეშუმობას მოჰკიდა ხელი, და კარგს შემოსავალსაც იძლეოდა ეს დარგი მეურნეობისა, მაგრამ დახე უბედურებას: თუთის ხის ფურცლის დაბეჟვა რაღაც მოუხერხებელი დარჩა, ამიტომ არც აცივა, არც აცხელა, აიღო და აუკრძალა ხალხს მეაბრეშუმობა,—ამისი ბრალია, რომ სიმინდს ფარფელი გაუჩნდაო.

კიდევ ერთი მაგალითი. სოფელ გუმისთაში სახლობდა „კნიაზთან“ კარგად დამსახურებული ვინმე დავით შუშანია, რომლის ქალიშვილის ცოლად შერთვა მოინდომა ვიღაც დიმიტრი წულაიამ, იჯარადარმა. შუშანიამ უარი შემოუთვალა, ეს იუკადრისა წულაიამ და მოჰკლა ქალიშვილის მამა, თვითონ კი ყაჩაღად გავარდა. ადგილობრივ ადმინისტრაციის, რომელსაც ჭირივით ეჯავრებათ ქართველები, დახმარებით უბრძანეს გუმისთელებს: „ან მკვლელი მოგვეცით, ანა და აიბარგენით და დაიკარგენით აქედანაო“. ორ ცეცხლ შუა ჩავარდა სოფელი: წავიდეს, სად წავიდეს, როდესაც არსად ერთი ხაჭერი მიწა არ აბადია, თუ არა როგორ და რით დაიჭიროს თავზე ხელ-აღებული ყაჩაღი. ვიღაცეებს ფულიც კი მისცა სოფელმა წულაიას დასაჭერად, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა: ვეღარ ჩაიგდეს ხელში წულაია. და აი ამის გამო აჰყარეს 20 მოსახლე მეგრელი, რომელთა ოფლითა და სისხლით იყო მორწყული თვითოეული მტკაველი მიწა გუმისთის მამულისა. გულ-საზარ სურათს წარმოადგენდა მათი აყრა-აწიოკება: დედაკაცთა და ბავშვთა ტირილი ცათამდის აღიოდა, მათი ცრემლი ზღვას ერთვოდა, მაგრამ აქვს გასავალი ამ სოფლად ცრემლსა და სამართლიანს ტირილს? სად გადაიკარგნენ და გადაიხიზნენ, ერთმა ღმერთმა უწყის. როგორც გავიგე, 10—12 მოსახლე ისევ მიუღიათ უკან.

ჩემის შეკითხვაზე, თუ ასე შეწუხებული ყავხართ ბატონს მოურავს, რატომ უკან სამეგრელოში არ დაბრუნდებით მეთქი, ერთმა გლეხმა ნაღვლიანად მიპასუხა: „სად წავიდეთ, ბატონო, რომ იქ ერთი მტკაველი მიწაც არა გვაქვს,—მიწა, ხიმენი, სახლ-კარი, ერთი სიტყვით თუ რამე გვქონდა წინადელ შეღავათიან პირობებით მოტყუებულმა გავყიდეთო. ეხლა სამეგრელოში დასამარხი მიწაც არა გვაქვს. თან ოცდა-ოთხი წელიწადი მიმშრომია აქ, ჩემი ჯაფი და ღონე აქ დამილევია, და ეხლა რომ დავუძლურდი, სად წავიდე, ვის მივეკედლო, ვის რად ვუნდივარ, რომ შრომის უნარი დავკარგეო!“

აი ყველა ამით შეწუხებულმა მოიჯარადრეებმა უარი უთხრეს მებატონეს: იმის ზედ მეტს, რაც პირობაში გვიწერია, ერთ გროშსაც არ გადავიხდითო. თან აყრა და აბარგებაზედაც უარი განუცხადეს. ცუდათაა მათი საქმე, თუ ამ აბობოქრებულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რამე არ უშველა.

ამ ჟამად თავადის მამულზე 370 მოიჯარადრეა, რომელთა შორისაც 70 სომეხბერძენია.

ნარ-ეკალი.

ახალი ამბავი

◆ 22 ივლისს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში ვიღაც უცნობ კაცს **რევოლვერით მოუკლავს ეგრედ წოდებულ პატრიოტულ პარტიის წევრი**, უფროსი ხელოსანი, სოშკინი. ტყვია სოშკინს საფეთქელში მოჰხვედრია. მკვლელი გაქცეულა და ისე მიმალულა, რომ ვერ უპოვნიათ. პატრიოტულ პარტიას, 300-მდე კაცს, მაშინვე მუშაობა შეუწყვეტია, ცხენების საჯირითო მოედანზე ჩასულა და შეუდგომია თათბირს. პარტიას ამ მკვლელობაში მონაწილედ უცვნია კანტორაში სოშკინთან მომუშავე მწერალი არჩილ მათიკაშვილი, რომელიც ამდროს თავის ბინაზე ყოფილა. ცოტა ხანს შემდეგ მათიკაშვილის ბინაზე მისულა ერთი წევრი პარტიისა და სამი ყაზახი და უთქვამთ, უნდა წამოხვიდე იქ, სადაც მკვლელობა მოხდა, გამოძიება, და მოწმედ უნდა დაგვესწროო. მათიკაშვილი გაჰყოლია, მაგრამ შუა გზაზე რომ მისულა, მიხვდარა, რომ სახელოსნოებში-კი არა, სხვაგან სადღაც მიჰყავდათ და შეფიქრიანებულა. მათიკაშვილი საჯირითო მოედანზე გაუყვანიათ, სადაც ამდროს 200-მდე წევრი იყო ხსენებულ პარტიისა. მუშები შემოჰხვევიან მათიკაშვილს და მოუთხოვნიათ, შენ ნამდვილად უნდა იცნობდე სოშკოვის მკვლელს და თუ არ გვითხარი, ცუდ დღეს დაგაყენებთო. მათიკაშვილს უთქვამს, მე არ ვიცი ვინ იყო, ვიღაც ფანჯარასთან მივიდა, რევოლვერი გაისროლა და გაიქცა; საიდან შემეძლო მისი ცნობაო. მისცვივნიან მუშები და დაუწყიათ ცემა კეტებითა, მუშტებითა და ქვით. საბედნიეროდ, პატრული მიეშველებია და ცოცხალ-მკვდარი კაცი ხელიდან გამოუცლია. მათიკაშვილი გონდაკარგული წაუყვანიათ რკინის გზის ლაზარეთში. უცემნიათ აგრეთვე ერთის მუშისთვისაც, რომლის პარტიას დაუწამებია, შენ ჯამუშობ, ჩვენთანა ხარ, მაგრამ რაც აქ გესმის, სხვებთან მიგაქვსო. მათიკაშვილს თავი რამდენგანმე გატეხილი აქვს.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ახალქალაქში **მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ** თავის დროზე კარგა ძალი ფული მოიკრიფა. დარჩენილა 40,000 მანეთამდე. კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღიძრა, რომ ეს ფული გადაეცეს ერევნის კომიტეტს სომეხ-გრიგორიანთა ჟლეტის დროს დაზარალებულთა დასახმარებლად.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას და სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, მეტად **გაუჭირდა გადასახადების მოკრება.** გამგეობას დღიურ ხარჯისთვისაც აღარ აქვს ფული. გამგეობამ დააკისრა აგენტებს, მხნედ შეუდგნენ საქმეს და ნედოიმკები უსათუოდ მოკრიბონ. გამგეობამ დაადგინა: გამოაქვეყნოს იმ შეძლებულ მოქალაქეთა გვარები, რომელნიც არ იხდიან ფულს, დაკეტოს ის სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებანი, რომელთაც აქამდე გადასახადები კასაში არ წარუდგენიათ და ოქმები შეუდგინონ მეეტლეებს, რომელნიც უნომროდ ბირჟაზე გამოდიან. გამგეობამ ამასთან დაადგინა, სთხოვოს გუბერნატორს განკარგულება მოახდინოს, რომ პოლიციელებმა ქალაქის აგენტებს დახმარება აღმოუჩინონ ნედოიმკების მოკრების დროს.

◆ 22 ივლისს, დილის რვა-ნახევარ საათზე, გამოსცადეს **ფუნიკულერის ერთი ავტომატიური ვაგონი.** ვაგონი, რომელიც 280 ფუთს იწონის, უჯაჭვოდ გამოუშვეს ძირს, მაგრამ როცა ვაგონის დამტარებელმა ტორმოზი დაუშვა, ვაგონი იმ წამსვე გაჩერდა. ასე სცადეს ვაგონი სამჯერ და სამჯერვე ცდამ სასურველი ნაყოფი მოიტანა.

◆ როგორც ფასანაურიდან გვატყობინებენ, ადგილობრივ ბოქაულს დაუტუსაღებია **მთელი ფურგუნი თოფებით სავსე**, და მასთან ერთად ორი კაცი, ტომით სომეხი. („ივ.“).

◆ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობამ გადასწყვიტა დააარსოს მოქალაქეთა ურთიერთ **დამხმარებელი კასს.** კასის წესდება მოქალაქეთა მოურავმა უკვე შეიმუშავა და განსახილველად წარუდგენს რწმუნებულთა კრებას.

◆ **პროფესორ მარრს**, რომელიც საარქეოლოგო საზოგადოებამ გაჰგზავნა ანში ძველ ნაშთების ამოსათხრელად, როგორც „მშაკი“ გადმოგვცემს, ფული შემოჰკლებია. გაზეთი ურჩევს **სომხის** შეძლებულ საზოგადოებას, დაეხმაროს პროფესორს და ფული მიაწოდოს, საჭიროა შემოდგომამდე 1000-1500 მანეთი.

◆ **მალაკნების სრულიად რუსეთის კრებაზე** ვორონცოვკაში თავი მოუყრია 3000 კაცს. მალაკნები მოსულან როგორც რუსეთიდან, ისე საზღვარ-გარეთიდან.

◆ ახირებული „ექსპლოატატორები“ გამოჩნდნენ გ. ადელხანოვის სამკერვალო ფაბრიკაში (ხავთისუბანში). ესენი არიან ისეთივე მუშები—მკერვალი ქალები და კაცები. ამ ჟამად მთავრობამ აურებელი ზედ-მეტის ჯარის ტანისამოსი შეუკვეთა ხსენებულ ფაბრიკას და როგორც შეუტყვიათ, ძრიელ სასწრაფოდაც უნდა ჩააბარონ, რადგან იქაური მუდმივი მუშაკები ვერ აუთავდებიან ამდენ აურებელ საქმეს. ფაბრიკის გამგემ განიზრახა, ნაწილი საქმისა გარეშე პირებზედაც გაეცა. მაგრამ მუდმივმა მუშებმა ეს არ მოიწონეს; მიუხედავად ამისა, რომ განსაზღვრულ სამუშაო დროს გარდა დამატებით კიდევ საღამოს მუშაობენ,—ეს ზედმეტი სამუშაოც თვითონ ჩაიგდეს ხელში, იმ პირობით, რომ გარეშე პირებს თვითონ აძლევენ ხოლმე საქმე უდავიდარაბოთ 30%-ის დაკლებით. ფაბრიკის გამგე დასთანხმდა. რას გარგებს, გამდიდრების მადა გაეხსნათ ღარიბ-ღატაკს თავისზე უარესის ღარიბის გასაყვლეფად.

◆ ტფილისის სავაჭრო ბანკმა სთხოვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აცნობოს როგორი მოსავალია წელს პურისა, ქერისა, ღვინისა, შვრიისა, ფეტვისა და სხვა.

◆ ქალაქის ინჟინერმა კოგნოვიცკიმ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას წარუდგინა პროექტი მტკვარზე სატივოსნო სადგურისა.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში მელიქოვის ბინაზედ, აპარულიყო ქურდი ემელიან ფომიჩი, მოეპარა ნივთები და მიჰქონდა. ქურდი დაიჭირეს და გადასცეს პოლიციას.

◆ 22 ივლისს, ღამე, პუშკინის ქუჩაზედ ვაჭრის დავით არაქელიანცის მაღაზიაში შეპარულან ვიღაც ქურდები და გაუტანიათ საქონელი. ქურდების ვინაობა არ იციან და არც ეჭვი აქვთ ვიზედმე.

◆ ტფილისის ქალაქის საქმეთა საკრებულოს განუხილავს ფარნების მუშათა მეთვალყურის გიორგი ჩიტაშვილის საჩივარი. ჩიტაშვილი ქალაქის გამგეობას უჩიოდა, რომ უსამართლოდ მოიქცა გამგეობა, უმიზეზოდ სამსახურიდან დამითხოვა და ეს ათი თვეა უჯამაგიროდ და უადგილოდ ვარო. უფროსი აგენტის ლალაიანცს გამგეობისათვის უცნობებია, ჩიტაშვილი ცუდად იქცევა და ყურადღება მიაქციეთო. ლალაიანცის მოხსენება არავის შეუმოწმებია და ჩიტაშვილი დაუთხოვნიათ. ჩიტაშვილი საქმის ვითარების გამორკვევის შემდეგ მართალი აღმოჩენილა, მაგრამ გამგეობას სამსახურში აღარ მიუღია, რადგან იმისი ადგილი სხვისთვის მიუცია. საბჭომაც ყურადღება არ მიაქცია ჩიტაშვილის ჩივილს. ჩიტაშვილს საკრებულომაც უარი უთხრა.

ისტორიულ უბის წიგნიდან

I

ამ შენიშვნაში მინდა მკითხველს გაცნო ერთი მომენტი საფრანგეთის წარსულიდან (1769 წ.).

1783 წ. კონდორსე ადგენდა სოციალურ და პოლიტიკურ რეფორმების გეგმას. თავის გეგმაში იგი დედაკაცებს პოლიტიკურ უფლებებს უთმობდა, რომ დედაკაცებს მომავალ პარლამენტში ჰყოლოდათ თავიანთი წარმომადგენელნი. კონდორსეს აზრი იმაზედ იყო დამყარებული, რომ დედაკაცები ძველ საფრანგეთში ხშირად ირჩევდნენ წარმომადგენელთ მუნიციპალურ, პროვინციალურ და გენერალურ შტატებში.

1789 წ. საფრანგეთში პირველად დაიწყო თვალსაჩინო მოძრაობა დედაკაცებისა. ეს მოძრაობა გამოიხატა მრავალგვარ პეტიციებსა და წიგნაკებში, რომლებითაც დედაკაცები თხოულობდნენ პოლიტიკურ უფლებებს. ამ მოძრაობის მეთაურნი თვით დედაკაცნი იყვნენ, მამაკაცები ირონიით უყურებდნენ ამ მოძრაობას. დედაკაცები მარტო სიტყვით-კი არა, საქმითაც ამტკიცებდნენ თავიანთ მოთხოვნილების კანონიერობას: ისინი მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციაში, ხელს უწყობდნენ, თავიან სალონებში თავს უყრიდნენ რევოლუციის მოღვაწეებს. აქ ადგენდნენ მოქმედების გეგმას, აქ იძენდნენ მხნეობას, იმათი „ლოცვა-კურთხევა“ თავს დასტრიალებდა და აღფრთოვანებდა რევოლუციის თაყვანისმცემელ მოღვაწეებს. *) ვისაც სალონებში მოქმედება არ შეეძლო, ის ქუჩაში იყო და იქ მუშაობდა. ბევრმა თავისი ნაზი ხელებით სხვებთან ერთად ბასტილიის სიმაგრეც დასცა. 1790 წ. საფრანგეთის კომმუნამ ბევრი დედაკაცი საპატიო ნიშნებით და ჯილდოთ. ზოგიერთ პროვინციაში, როგორც „Vic en Bigorre“-ია, დედაკაცების მილიციაც არსებობდა, ამხანად დედაკაცებმა, როგორც ჯარისკაცებმა მოქალაქეობის, თავი ისახელეს.

ამავე დროს, ე. ი. 1790 წ. კონდორსემ [illegible] წერილი დაბეჭდა „ჟურნალ დიუ სოსიეტე“-ში. ავტორი დიდის ენთუზიაზმით და მჭერმეტყველებით ამტკიცებდა, რომ დედაკაცები ღირსნი არიან პოლიტიკურ უფლებებისა; ეს წერილი ნამდვილი ფემინისტური მანიფესტია. **) დედაკაცების მოძრაობა ისე გაიზარდა, რომ მამაკაციც იძულებულნი გახდნენ ყურადღება მიექციათ მოძრაობისათვის და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მონაწილეობაც მიიღეს. კონდორსეს მანიფესტმა დიდი აურ-ზაური ასტეხა პრესასა, სალონებსა, სოციალურ კლუბებში.

სოციალური კლუბი; რომელიც ერთხანს [illegible] იყო, მიემხრო მოძრაობას და შეუდგა fadders-ის სიტყვის გავრცელებას. ამ უკანასკნელის აზრი იყო დაარსებულიყო დედაკაცთა პატრიოტული წრეები, რომელნიც შემდეგში მთელ ფედერაციას შეადგენდა. დემოკრატებს პრინციპიალურად არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი ამ მოძრაობის შესახებ და წინააღმდეგნიც კი იყვნენ ხელი შეეწყოთ fadders-ის პროპაგანდისათვის. მამაკაცების კლუბებთან ერთად დაარსებული დედაკაცების კლუბები რევოლუციონურ მოძრაობაში განხეთქილებას და ძალთა დანაწილებას გამოიწვევდა, ამიტომ ზოგიერთმა ჭეშმარიტმა პატრიოტმა სცადა შეეერთებინა ეს კლუბები. მართლაც დაარსდა ორსავე სქესის „ძმური საზოგადოებანი“, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით საფრანგეთის რევოლუციის და დემოკრატიის წინაშე. საქმე ის არის, რომ ეს ახლად დაარსებული კლუბები შეადგენდნენ ნაწილს „ხალხურ კლუბებისას“.

ამ კლუბებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა „კორდელიერების კლუბს (საზოგადოება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა“). ამ საზოგადოების წევრებად მამაკაცებთან ერთად დედაკაცებიც ითვლებოდნენ როდესაც 1190 წ. გამწვავდა ანტაგონიზმი ბურჟუაზიულ და დემოკრატიულ პოლიტიკის შორის, მაშინ კორდელიერების კლუბის“ თაოსნობით დაარსდა ზემოთ დასახელებული „სახალხო კლუბები“. კლუბები არსებობდა ლიონსა და პარიზში, განსაკუთრებით ბევრი ასეთი კლუბი იყო პარიზში. ამ კლუბების წევრების მომეტებულ ნაწილს შეადგენდნენ დედაკაცები. ზოგჯერ წევრებად ბავშვებსაც იღებდნენ ამ კლუბების მიზანი იყო ხალხის განათლება. საღამოობით განსაკუთრებით კვირაობით, უყრიდნენ თავს მუშებს, მათ ოჯახებს და უხსნიდნენ დეკლარაციას. სამოქალაქო კანონებს, ისტორიას და სხვას ერთი ასეთი საზოგადოება დაარსა ღარიბმა მასწავლებელმა ბლონდ-დასსარმა, რომელსაც თან მოჰქონდა ჯიბით სანთლის ნაწილი და კვესაბედი, თუ კრება გაგრძელდებოდა და სანთელი არ ეყოფოდათ, გამოდეკულ კაპიკობით შეიძენდნენ სანთელს და აგრძელებდნენ მეცადინეობას. რა თქმა უნდა, ასეთ მეცადინეობას და კრებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის თვით ცნობიერების მომუშავებისთვის. აქ ამ კრებებზე ერთმანეთს ხვდებოდა ბურჟუა და პროლეტარი კრებებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან წევრები აქ ეცნობოდნენ, თუ რა უფლებების პატრონნი არიან, მხოლოდ აქ წარმოიდგენდნენ ნათლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათთვის საყოველთაო არჩევნების უფლებას ამგვარ საზოგადოებებით მოფენილი იყო მთელი საფრანგეთი და თვითეულს ათასობით წევრი ჰყავდა.

მალე ამ საზოგადოების ხელმძღვანელი ცნობილი პირები გახდნენ ბ. ა. ქ. როიერ-კერალიო ქ. მუტეცო სამხატვრო აკადემიის წევრი, ქ. როლანი და სხვანი. ერთ ასეთ საზოგადოებაში 1791 წლის თებერვალს დედაკაცებმა მოჰფიცეს ერთმანეთს, რომ არ გაჰყვებოდნენ ცოლად არისტოკრატებს.

„სახალხო კლუბები“ მასწავლებლების როლით არ დაკმაყოფილდნენ: ესენი თვალყურს ადევნებდნენ მოხელეებს, კიცხავდნენ პარიზის ადმინისტრაციას, სწერდნენ და აგზავნიდნენ ადრესებს. ერთმა საზოგადოებამ, რომლის თავმჯდომარედაც რობერი იყო, თავისი უკმაყოფილება გამოუცხადა პარიზის დეპარტამენტს მეფისთვის ადრესის მირთმევისათვის და 19 აპრილს 1791 წელს თავისი გადაწყვეტილება აცნობა დეპარტამენტებს.

ამ კლუბს თვალსაჩინო დემოკრატიული მიმართულება ჰქონდა. 1791 წ. დასაწყისს დაა-

---

*) რამდენად დიდი გავლენა ჰქონდა პოლიტიკურ საქმეებზედ დედაკაცებს იხ. Aulard—„Политическая история Францусk. революци“. П. Мировичъ—„страница по исторіи вел. францyз. революціи“. (Г-жа Роланъ) 1905 г.

**) ამ წერილის შინაარსი და გარჩევა დასტამბა Aulard—La Feminisme pendant la Revolution francaise—Revue bleu—19 მარტს 1898 წ. ვისაც ფემინიზმი აინტერესებს, ვურჩევთ ორთავ წერილი წაიკითხოს. ურიგო არ იქნებოდა, რომ ამ წერილებს გადათარგმნიდეს ვინმე.

საარჩევნო უფლებები მინიჭებული; მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთ შტატსა და ახალ ზელანდიაში აქვთ ქალებს საარჩევნო უფლებები—მაგრამ იქაც აქტიური, და არა პასიური: ისინი მონაწილეობენ არჩევნებში როგორც ამომრჩევლები, მაგრამ არ კი შეუძლიათ თვითონ მოხვდნენ ხალხის წარმომადგენელთა რიცხვში.

ასე და ამ გვარად დავინახეთ, რომ არსებობს ხალხის წარმომადგენლობის ოთხი ფორმა—არისტოკრატიული, წოდებრივი, ცენზიანი და საყოველთაო; ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ, ამათ გარდა, არსებობს კიდევ ცხოვრებაში არეული სახე წარმომადგენლობისა; ასეთ არეულ წარმომადგენლობის დამახასიათებელ ტიპად შეგვიძლიან დავასახელოთ ორ პალატიანი სისტემა. ორ პალატიან სისტემას შესწავლის დროს ორი შემთხვევა უნდა გვქონდეს სახეში: ორ-პალატიანი სისტემა უნიტარულ, ცენტრალისტურ სახელმწიფოში და იგივე სისტემა ფედერატიულ სახელმწიფოებისა, რომელნიც შესდგებიან რამდენსამე თვითმმართველ პოლიტიკურ ერთეულისაგან. უნიტარულ სახელმწიფოში ორ-პალატიანი სისტემა წარმოადგენს ხალხის წარმომადგენლობის სხვა და სხვა გვარ ფორმების შეერთებას, მაგალითად—ინგლისის ზემო პალატა, ანუ ლორდთა პალატა წარმოადგენს არისტოკრატიულ წარმომადგენლობის ნიმუშს, ქვემო პალატა ანუ დეპუტატთა პალატა-კი დამყარებულია ცენზიან წარმომადგენლობაზე. მაშინაც კი, როცა ორსავე პალატაში არჩევნები საყოველთაო ხმის მიცემით ხდება, საქმე არსებითად მაინც შეუცვლელი რჩება: ზემო პალატის წარმომადგენლები რომ გავსინჯოთ, ადვილად დავინახავთ, რომ მათს წარმომადგენლობას საფუძვლად იგივე ცენზი უძევს და სხვა არაფერი, მხოლოდ მაღლდება ეს ცენზი. ავიღოთ მაგალითი: საფრანგეთის სენატს შემდეგის სახით ავსებენ: საყოველთაო ხმის მიცემით ირჩევენ მუნიციპალიტეტებს, რომელნიც თავიანთის ფუნქციით (მოქმედებით) ჩვენის საერობო კრებებისა და ქალაქის საბჭოების მაგვარები არიან; ეს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოები ირჩევენ სენატორებს. გამოდის, რომ ამგვარ წეს-რიგის წყალობით სენატში ხვდებიან თითქმის მარტო უმდიდრეს ბურჟუაზიის წარმომადგენელნი. ამგვარად ორ-პალატიან სისტემას უნიტარულ სახელმწიფოებში არა აქვს ორ აზროვანი ხასიათი დემოკრატიულ პრინციპის შესაზღუდავად.

სულ სხვა მნიშვნელობისაა ორ-პალატიანი სისტემა ფედერატიულ სახელმწიფოებში. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში საკანონმდებლო დაწესებულება—კონგრესი—ორის პალატისაგან შესდგება—დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან. როგორც დეპუტატებს, ისე სენატორებს საყოველთაო ხმის მიცემით ირჩევენ, მაგრამ თვითეულის შტატის დეპუტატების რაოდენობა განისაზღვრება შტატის მცხოვრებთა რიცხვით, მაშინ როდესაც სენატში თვითეული შტატი ორ-ორ სენატორს ჰგზავნის. ყველასათვის აშკარაა, თუ რა იდეა ასულდგმულებს ამ სისტემას. ამათ სურთ შეათანასწორონ უფლებები სხვა და სხვა სახელმწიფოებისა, რომელნიც კავშირს შეადგენენ; ასე, რომ ყველანი თანასწორები გახდნენ ზემო პალატაში.

ეს უფრო შესაძლებელია იმ ფედერაციებში, რომელთაც პოლიტიკური ერთეულები შეადგენენ, რომელნიც ძლიერ არ განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან ტერიტორიის (მიწა-წყლის) სიდიდითა და მცხოვრებთა რაოდენობით. მაგრამ ეს შეუძლებელია იქ, სადაც ძლიერ დიდია განსხვავება სივრცისა და მცხოვრებლების რიცხვისა ფედერაციის ცალკ-ცალკე ნაწილებში. ამიტომაა რომ იმისთანა შემთხვევებში ფედერატიულ პარლამენტებში არა გხვდებათ ორს პალატას: მაგალითად, გერმანიის რეიხსტაგი ერთ პალატიანი წარმომადგენლობითი დაწესებულებაა. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ზემო პალატა ფედერატიულ სახელმწიფოებში საზოგადოდ მეორე ხარისხოვან მნიშვნელობისაა ქვემოსთან შედარებით: ასე უნდა ითქვას ამერიკის სენატის შესახებაც.

გადავდივართ მეორე საკითხზე იმის შესახებ, თუ რა არის შექმნილი და რისთვის არის დაცული ხალხის წარმომადგენლობის სხვა და სხვა ნაირი ფორმები.

რამ წარმოშობა, როგორ განვითარდა და დაცულ იქნა არისტოკრატიული წარმომადგენლობა? იგი ძლიერ ძველ დროს ეკუთვნის, ჩნდება ნატურალურ მეურნეობის დროს და ამასთან მაშინ, როცა გვაროვნულ ცხოვრებაში უპირველეს როლს თამაშობს არა მიწის-მოქმედება, არამედ საძებარი (добывающая) მრეწველობა—ნადირობა, თევზაობა, მეფუტკრეობა. ამისთანა დროს თვითეული ოჯახი გაცალკევებულია, რათა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. შრომის განაწილება სწარმოებს მხოლოდ თვით ოჯახის ფარგლებში. გაჭრობა თითქმის არ არის, ოჯახური კავშირი ყველაფერს საჭიროს თავის წევრების შრომით შოულობს, არაფერს არ ჰყიდის და არც ჰყიდულობს... აი რისთვისაა, რომ პირადობა შთანთქმულია ამისთანა დროს და რეალურ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს მხოლოდ ოჯახი, ნათესაობრივი კავშირი. აქედან წარმოდინარეობს ნათესაობრივი წარმომადგენლობა სახალხო კრებაზე, რომელზედაც გადამწყვეტის ხმის უფლება აქვთ მხოლოდ ოჯახის უფროსებს. მაგრამ, ჩვეულებრივ ამავე დროს ჩნდება ხოლმე საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც საძებარ მრეწველობას გარდა თავის ძალისა და დროის ერთს ნაწილს საგარეო ვაჭრობას სწირავს, რომლის ადგილას ყველგან, სადაც-კი შეიძლება, ძარცვა-გლეჯა ჩნდება. ამ ჯგუფს ერთგვარ ნივთიერ უპირატესობას აძლევს ამგვარი მუშაობა, რაიც გამოიხატა განსაკუთრებულ არისტოკრატიულ საბჭოს დაარსებაში მეფეს- ან მთავართან, ისეთის საბჭოსი, რომელსაც საფუძვლად ნათესაობითი წარმომადგენლობა უძევს; ამ წარმომადგენლობას შეადგენს იგივე უფროსნი არისტოკრატიულ ოჯახებისა. ასეთი იყო, მაგალითად, ძველს დროში რომის სენატი, სპარტის გერუსია, ათინის არეოპაგი, გერმანიის უხუცესთა საბჭო, რუსეთის უძველესი სამეფო სათათბირო ანუ მთავრის დრუჟინიკოსთა საბჭო. ამგვარად წარმოიშვა არისტოკრატიული წარმომადგენლობა.

არისტოკრატიულ წარმომადგენლობის ფორმა არსებობს აგრეთვე ნატურალურ მეურნეობის განვითარების მეორე ხანაშიც, მაშინ, როცა საძებარ მრეწველობის ადგილას მიწათმოქმედება ჩნდება. ასე რომ რომის სენატი, რუსეთის სამეფო სათათბირო, საშუალო საუკუნოების კრებები სამეფო პირების დაცულ იქნა ამ ეპოქის დროსაც. ამ ორ ხანას შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ვაჭრობისა და ძარცვა-გლეჯით შეძენილ კაპიტალის შემწეობით ნაცვლად, მიწათმოქმედების ბატონობის ზეგავლენით, ახალი, უფრო მტკიცე საფუძველი არისტოკრატიულ უპირატესობათათვის, სახელდობრ, მიწადმფლობელობა. მიწის დამუშავება გაცილებით მეტს ხარჯს თხოულობს შედარებით საძებარ მრეწველობასთან: პირველყოფილ მონადირის, მეთევზისა ანუ მეფუტკრისათვის თითქმის სრულებით საჭირო არ არის კაპიტალი მათის წარმოებისთვის: ადგილია და არაფერი არა ღირს ნადირის დასაჭერ ბადის გაკეთება, მშვილდ მოსხა, თევზის ფაცრის მო- [illegible]

ბ. ლომთათიძე.

(შემდეგი იქნება).

რსდა „არავრის მქონე საზოგადოება" (ოროსავე სქესისა), რომლის დედა-აზრიც იყო ბრძოლა არისტოკრატიასთან. ურთი ერთ შორის დამოკიდებულებიდან განდევნეს ყოველგვარი ეთიკეტი. აღარ უწოდებდნენ ერთმანეთს „მონსიერ"-ს „მადამ"-ს, „მადმაზელს, ეძახდნენ: „ძმაო", „დაო" და სხვას. ქ ნ რობერს უწოდებდნენ „დაო ლუიზას". რობერი სწერდა ამ კლუბების მოღვაწეობის შესახებ: ჩვენი შვილები როდესაც მიაღწევენ უმაღლეს წერტილს საზოგადო კეთილდღეობისას, დაუდგამენ ძეგლს ჭეშმარიტ თავისუფლებას; ამ ძეგლზედ ასეთი წარწერა იქნება: „თუ ჩვენ საზოგადო კეთილდღეობას მივაღწიეთ, ამისი შემქმნელი „ძმური საზოგადოებანი" არიან". ამ დემოკრატიულ მოძრაობის, რომელიც მთელ საფრანგეთს მოედო, სულის ჩამდგმელნი დედაკაცები იყვნენ. ქება-დიდება საუკეთესო ნაწილს კაცობრიობისას! აქამდის იგი ნაკლებ მონაწილეობას იღებდა რევოლიუციაში, აქამდის ცოტა გვშველოდა დედაკაცი სამშობლოს მოყვარული, დღეს კი გულწრფელობს და გრაცია ჩვენ მხარეზეა; ეჭვი არ არის, საქმე კარგად წავა".

„სახალხო კლუბებს" დიდი დემოკრატიული გეგმა ჰქონდათ შემუშავებული. მის წევრებად უნდა ყოფილიყო შინაური მოსამსახურეც, რომელიც, ქ. რობერის აზრით, ძმურ სიყვარულის შემწეობით, უნდა ამაღლებულიყო ადამიანის საფეხურამდე. დემოკრატიულ მიმართულების კლუბები არ იყვნენ სოციალისტური. 1791 წ. „არავრის მქონე საზოგადოებამ" ერთს თავის ადრესში აღნიშნა, რომ საზოგადოება წინააღმდეგია მიწების დაყოფისა. ეს არც ფემინისტური დემოკრატია იყო, ვინაიდან „სახალხო კლუბები" არა თხოულობდნენ პოლიტიკურ უფლებებს დედაკაცებისათვის. ამ კლუბების პროგრამმა იყო: ბრძოლა და პროპაგანდა ცენზის არსების წინააღმდეგ. ისინი მიესწრაფოდნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებებისაკენ.

1791 წლის მაისში „სახალხო კლუბები შეერთდნენ და ერთი დიდი ფედერაცია შეადგინეს. ამ ფედერაციას ჰქონდა თავისი მთავარი კომიტეტი. საფრანგეთის პირველმა კონსტიტუციამ, მიუხედავად დეკლარაციაში გამოცხადებულ პრინციპებისა, ფრანგები დაჰყო პასიურ და აქტიურ მოქალაქეებად და პოლიტიკური ცენზიც დააწესა. ამ ცენზმა დიდი აურზაური ასტეხა თანამედროვე საზოგადოებაში. საქმე კლასთა ბრძოლამდის მივიდა. პოლიტიკურ პრივილეგიის პატრონ კლასს უწოდებდნენ ბურჟუაზიას. ცნობილი თანამედროვე მეისტორიე საფრანგეთის რევოლიუციისა ა. ოლარი ამბობს, რომ სიტყვა „ბურჟუა" ზემოაღნიშნულ შინაარსით პირველად შემხვდა Revolutions de Paris № LXXVII-ში (15—12 მარტი 1791 წ.). „ბურჟუა არ არის დემოკრატი. იგი თავის ინსტინქტებით მონარქისტია. ცხვრებიც პატივს სცემენ ერთის უფლების პატრონს, ვერავერი ძალა ვერ დააშორებს მათ მწყემსს, იმ მწყემსს, რომელიც ჰპარსავს მათ ისე, რომ ხორცსაც თან ატანს. ასუქებს, რომ მიჰყიდოს ყასაბს, ან დაჰკლავს თავის სასარგებლოდ. ბურჟუაც იგივე ცხვარია. ადამიანთა შორის ბურჟუა უნდა დააყენოთ ადამიანისა და ჯორის შორის. ამ ორის პირუტყვის შორის სდგას ბურჟუა. ხშირად იგი მიდის პირდაპირ, როგორც ჯორი, ზოგჯერ სცდილობს იაზროვნოს ისე, როგორც ცხვარი, მაგრამ ეს ყოველთვის არ გხერხება".

ხ. ბვმლიანი

(დასასრული იქნება)

წერილები

—

ახალსენაკი. ამ დღეებში დაბა ახალსენაკის ნოქრები შეიკრიბნენ თავიანთ საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებაზე აღნიშნულ იქმნა ნოქართა უნუგეშო მდგომარეობა. ეს მუშაკნი დღეში 15 საათს მუშაობენ დილის 6 საათიდან საღამოს 9 საათამდე, და კვირა-უქმე დღეებსაც არ არიან თავისუფალნი, ცოცხალი და მკვირცხლი ყმაწვილები ამ გამუდმებულ მუშაობისაგან ბნელ და ნოტიო სადგომებში, სადაც ყოველსავე გონებრივს საზრდოს—წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვას მოკლებულნი იყვნენ, ავადმყოფობდნენ და უდროოდ უძლურდებოდნენ. კრებაზე შემუშავებულ იქმნა შემდეგი მოთხოვნილებანი, რომელიც თვითეულად დაწვრილებით ახსნილი და განმარტებული იყო: 1. კვირა-უქმე დღეებში სრული დასვენება; 2. სამუშაო დღის შემცირება: დუქნები და მაღაზიები უნდა იღებოდეს დილის 8 საათზე და იკეტებოდეს საღამოს 8 საათზე, ხოლო შაბათობით—საღამოს 5 საათზე; სადილის დროს დასვენება 2 საათით; 3. ჯამაგირის მომატება (უნდა მოემატოს ნოქარს თვიურად ჯამაგირის ნახევარი); 4. ბინა-სადგომების გაუმჯობესება ჰიგიენურად და სანიტარულად; 5. ავადმყოფობის დროს სრულ ჯამაგირის მიცემა ორის თვის განმავლობაში; 6. ერთის თვით წინ გამოცხადება სამსახურიდან დათხოვნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთის თვის ჯამაგირის მიცემა; 7. საამხანაგო სამსჯავროს დაარსება, რომლის დაუკითხავად ალებს არ შეეძლოთ ნოქრების დათხოვნა; 8. საკუთარ კასის დაარსება; 9. საჭმლისა და ტანისამოსის გაუმჯობესება (იმ ნოქართათვის, რომელთაც ესენი ალებისაგან ეძლევათ); 10. გაფიცვის დროს ჯამაგირის შენარჩუნება; 11. ნოქართათვის სამკითხველოს დაარსება; 12. 14 წლისაზე ნაკლებ ყმაწვილების სამსახურში მიღების აკრძალვა და მათთვის ჯამაგირის დანიშვნა არა უგვიანეს 3 თვისა; 13. ალებ-მიცემა შეუვაჰრელად; მყიდველთა შეპატიჟება-შეწვევის მოსპობა: აგრეთვე ალებისა და საზოგადოების ზრდილობიანი მოპყრობა ნოქრებისადმი.

გარდა ამისა, სენაკის ნოქრები უერთდებიან საზოგადოდ ქართველ ხალხის პოლიტიკურ მოთხოვნილებათ: სიტყვისა, კრებისა, ბეჭდვისა და კავშირების თავისუფლებას: ხალხის წარმომადგენელთა დამფუძნებელ კრების მიწვევა რუსეთისათვის და ცალ-ცალკე საქართველოსა და სხვა განაპირა ქვეყნებისთვის საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით ორსავე სქესისათვის, წოდებათა და პრივილეგიათა გაუქმება, ქალთა და კაცთა უფლების გათანასწორება, მილიციის დაარსება, სავალდებულო და უფასო სწავლა 16 წლამდე ქალ-ვაჟთათვის დედა-ენაზედ; დედა-ენის ხმარება ყოველგვარ დაწესებულებებულებაში და სხვა.

—

ს. შინდისი (ქართლი). ივნისის პირველ რიცხვებში ხმა გავრცელდა, თ.-აზნაურთა მილიცია იშლებაო, მაგრამ ამ ბოლო დროს ეს ხმა არ გამართლდა. მილიცია ბევრნაირად მეცადინეობს, რომ მთელი თ.-აზნაურობა აიყოლიოს და გლეხთა მოძრაობა როგორმე შეაჩეროს. ამიტომაც მშრომელ თ.-აზნაურთ საქმეს უპირებს მუქარით და გლეხთა წაქეზებით მათ წინააღმდეგ. ზოგიერთი აზნაური ძალის ძალათი ჩაუწერიათ მილიციაში, მოკვლას დამუქრებიან. მე პირადად ვიცნობ ერთს ასეთს აზნაურს, ნაძალადევად ჩაწერილს. ამ აზნაურს მილიციიდან გასვლა უნდა, მაგრამ ეშინიან. ამას წინად სამმა მილიციონერმა გამოიარა ს. შინდისზე და აქაურს გლეხს რ. ნასყიდაშვილს გამოეკიდა საცემრად სრულიად უმიზეზოდ. ჯერ შეეყვირათ, სადაური ხარო, აქაური გლეხი, ნასყიდაშვილი გახლავართ, თქვენი ჭირიმეო. სტყუი, შინდისში ნასყიდაშვილები არ არიანო, და გასალახად მიაშურა ერთმა მათგანმა. ამ ამბავმა მთელი შინდისის აზნაურობა მეტად ააღელვა, რადგან ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს ხრიკია ამ ვაჟბატონებისა, რომ აქაური გლეხობა როგორმე აამხედრონ აზნაურების წინააღმდეგ. საღამოზე კიდევ 10 მილიციონერმა გამოიარა შუა სოფელში სიმღერით. ყველანი დავიმალენით, რომ მათგანი არავინ დაგველაპარაკებოდა. ან სალამი არ მოეცათ, რადგან ერთიცა და მეორეც სასტიკად აღკრძალულია დადგენილებისამებრ.

საყურადღებოა, რომ სადაც ყაზახები მივლენ, იქ მალე მილიციაც გაჩნდება ხოლმე. ან ჯერ მილიცია მივა რომელსამე სოფელში და მერე კაზაკები მიდიან. მილიციონერთა მოქმედების მიხედვით შესაძლებელია სისხლის ღვრა მოხდეს გლეხთა და მათ შორის და მაშინ მთელის ქვეყნის წინაშე სასტიკად პასუხი უნდა აგონ მეთაურებმა. **ს. შინდელი**

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი მოგვცეთ, რათა გამოვაცხადოთ შემდეგი. თანხმად ქვეყნის მოთხოვნილებისა, დავადგინეთ [illegible] ჩვენ და [illegible] შორის [illegible] ბა. გლეხები თხოულობენ: 1. მიეცეთ ნადელები უღალოდ; 2. მემამულეების საკუთარ სახნავ მამულებზე, რომლებსაც გლეხი მემამულის ნებაყოფლობით შეამუშავებს, გამოართვას დღის მეათედი შემოსავლისა; 3. გლეხებს შეეძლოთ უფასოდ სარგებლობა: ქვითა, ქვიშითა და ნარიყითა; 4. საძოვარი საქონლისთვის იყოს უსასყიდლოდ; 5. ტყე აგრეთვე უსასყიდლოდ, რომელიც კიდეც დაგვიომეთ მთლად ახალ უბანში მცხოვრებთ გლეხთ მიწის მზომლის თანდასწრებით ამავე წლის 13 ივნისს. უარს გეცხადებთ აგრეთვე თავად-აზნაურთა მილიციაში მონაწილეობის მიღებაზე.

სოფ. ახალ-უბანში მცხოვრები აზნაურები:

ალექსანდრე ასლანის ძე კობახიძე, დიმიტრი დავითის ძე კობახიძე, ზაქარია დიმიტრის ძე კობახიძე, კონსტანტინე დავითის ძე კობახიძე, გრიგოლი ალექსანდრეს ძე კობახიძე, გლადიმერ კობახიძე, დიმიტრი ვასილის ძე კობახიძე, ალექსანდრე როსტომის ძე კობახიძე, ალექსანდრე გრიგორის ძე და ნიკოლოზ ქაიხოსროს ძე კობახიძე, რადგან იმათ წერა არ იციდნენ, იმათ თხოვნით ხელს ვაწერ ზაქარია დიმ. კობახიძე.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

22 ივლისი

ვლადივასტოკი. გოშკევიჩის ყურეში იმყოფება იაპონელების თვალ ყურის დამჭერი რაზმი, რომელიც შესდგება ერთის კრეისერისა და ოთხის ნაღმოსნისაგან.

ნიუ-იორკი. რუსის საფინანსო გამყოფილება არღვევს გაზეთის ცნობას, ვითომც ვიტტე ამერიკის ფინანსისტების აზრს იგებდა რუსეთის სესხის შეერთებულ შტატებში განაღდების შესახებო.

ოისტერბეი, 22 ივლისი. დღეს ვიტტემ და როზენმა ინახულეს რუზველტი. არავინ არ ახლდა ოფიციალურ რუსეთის წარმომადგენლებს. მოვიდა იახტა „მეიფლიუერი", რომელზედაც რუზველტი ხვალ მიიღებს იაპონიისა და რუსეთის წარმომადგენლებს. პირველად იგი მიიღებს იაპონიის დელეგატს იაპონიის დიპლომატიურ პრინციპის საფუძველით, რომელიც უპირატესობას მიაკუთვნებს პირველად მისულ ძალებს. ეს წესი დადგენილი იაპონიისა და რუსეთის დაუსწრებლად. რუზველტმა მიიღო ორი კორეელი, რომელთაც თხოვნით მიმართეს მას, დაიცვას კორეის ინტერესები.

პეტერბურგი. რუსეთს და საფრანგეთს შორის შემდეგი საუბარი მოხდა: საფრანგეთმა პირობა დასდო, არ დაადოს ბაჟი იმ საქონელს, რომელსაც [illegible] შემოდის რუ კოში საფრანგეთიდან, რუსეთი სამაგიეროდ უნდა დასწიოს ტარიფი მაგ [illegible] სასმელებსა და სხვებზე.

მოსკოვი. დიდის დროს უდროოდ გამ[illegible] შეგებულმა „[illegible]"-მა წაგო. საზოგადოებამ მოითხოვა დიდებულ ფულის დაბრუნება. ადმინისტრაციამ უარი განაცხადა. ბრბომ დაშენა წრეს რაც მოხვდა [illegible] ზარალი 15 ათას მანეთამდე. გრადონაჩალნიკმა [illegible] დახურა დოდი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

22 ივლისს.

ნიუ-იორკი. ვიტტეს სურვილით რუზველტმა სთხოვა ფოტოგრაფებს, თავი დაანებონ რუსეთის რწმუნებულს, რომელსაც ყოველგან უკან დასდევდნენ. რუზველტი ისე მიიღო ვიტტე, როგორც კამერი, [illegible] არც ერთ მხარეს არ მისცა უპირატესობა.

მუნჯულინი. („საკუთ. კორესპ.") ერთი მდგომარეობა ისევ ისეთია. [illegible] დღე რაც წვიმამ გადიღო. კარგი მზიანი დარი დგას.

პეტერბურგი. სენატმა განმარტა, რომ [illegible] ნონი სრულებითაც არ ითხოვს პოლიციის [illegible] რომ მან უკან დააბრუნოს, ქმრების მოთხოვნით, ცალკე მცხოვრები ცოლები, თუნდაც უკანასკნელთ პასპორტებიც არ ჰქონდეთ.—როგორც ხმები [illegible] ხალხის წარმომადგენლობის წესს მიეცემა [illegible] საკუთრივ [illegible] პროექტის განხილვის დროს, რაც ორ კვირამდე გასტანს, და [illegible] ტომ ხმები, ვითომც 30 ივლისს გამოქვეყნდება ხალხის მოწვევათ, ნაადრევია.—რაიონი [illegible] შეიერთება სახელოსნოში [illegible] ამ [illegible] რამდენიმე დიდს საათის ხატებს, მათ რიცხვ[illegible] გორკისა და თარხანოვისას.

პეტერბურგი. კაზეთების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ჰხედავს დაპრკოლებ[illegible] პერიოდულ სიტყვ და საერთო [illegible] გამართვაში. იმავე სამინისტროს, ხედავს [illegible] გლეხების მოხსენებიდან, რომ გლეხ-კა[illegible] ისევ რიგზეა, განიზრახვა აქვს ცირკულიარ[illegible] დაუგზავნოს და განმარტოს, გარიგება სას[illegible] გადაა აკრძალული მაშინაც-კი, თუ გლეხმა [illegible] მის გადასახადს რიგზეს დარღვევა არ[illegible].

პარიზი. გერმანია დღე და ღამე, მოუმზადებს ამუნიციას.

ათენი. საბერძნეთის მთავრობამ [illegible] სახელმწიფოს ხაზ[illegible] რომელიც ეჭვქვეშ [illegible] რომ შემდეგი [illegible] დაუხურებელი კრეტ[illegible] წესიერების ხმარება[illegible].

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარ**[illegible]

განცხადებანი

—

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამ ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად კამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, ათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, ნინა დისამიძის სახლში. ტელეფონი № 145. (წ.)

ფრიად საინტერესო და საყურადღებო

ახალი რომანი

„ცხოვრება და სიყვარული"

ავტორის სურათით, წინასიტყვაობით: მოკლე, ბიოგრაფიულ და საპასუხო კრიტიკულ წერილით ბ. ფ. გოგიჩაიშვილის მიმართ. წიგნი დიდი ზომისაა, დაბეჭდილია სუფთათ, მაგრად შეკერილი, შეიცავს 120 გვერდს და გაგზავნით ღირს მხოლოდ ორი აბაზი. იქ ვე იყიდება „ლექსები და პოემები" და მოთხრობა თანამედროვე ცხოვრებიდან: „ვარინკას ამბავი". თითო წიგნი შეიცავს ას გვერდზე მეტს და გაგზავნით ღირს მხოლოდ თითო აბაზი. აგრეთვე 1902, 1903 და 1904 სრული წლების „ცნ. ფურცელი" ყდაში მიცემულის დამატებით და შინაარსის აღწერით. თითო წლის მხოლოდ 4 მანეთი. შეიძლება მარკებითაც. მსურველთ მიჰმართონ სადგურ მიხაილოვში ბათუმის მხრივ ბილეთების გამყიდავ კასირს ჩარხიშვილს. Ст. Михайлово, кас. Чархишвили. (2—1)

იყიდება სახლი ერთ სართულიანი ხუთი ოთახით 120 კვ. საჟენი, ნაძალადევი ვოდოპროვოდის ქუჩა № 165.

(3—1) **ნ. მაკაცარია**

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტილნი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 ოქოევისა. (30—12)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1) ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2) საზოგადო სავაჭროსა, 3) ბანკისას 4) კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსისა), 5) ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6) არითმეტიკას საასპარიზო ჩოთქით, 7) კომერციულ კორესპონდენციასა, 8) ვაჭრობის ისტორიასა, 9) ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებსა.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანეთი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, ალ. ვ. საათაშვილს, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ამზადებს ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ ეძლევათ და ეგზავნებათ უფასოდ.

(14—4) ალ. ვ. საათაშვილი.

„ცოდნა" ქართული წიგნის მაღაზია (ლიტერატურის ბაღის პირდაპირ)

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი.

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები. მიზანი „ცოდნა"-სი მთავრობა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგი, სასარგებლო და ყველასათვის ხელმისაწვდომ წიგნებისა. მიიღება ხელის მოწერა [illegible] დარჩენილია [illegible] დიდი ხურათები 30 კ. 50 კ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

წიგნის მაღაზიის გამგე სოხიკო მერკვილაძე. (ფ.)

პირველი

კუბოს მაღაზია

გიორგი კიკნაძისა







ყველა ნაირი მოწყობილება, რაც კი ეკუთვნება კუბოებს. ვიღებ შემოკვეთას, რასაც ვასრულებ სუფთათ და იაფათ. ვაჩნის დიდი ქუჩა „ცნობის ფურცლის" რედაქციის გვერდით. (0—13)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ლოლუა-ზილბერ[illegible] დი გადავიდა ხიზნის ქ. № 7 [illegible] ტფილისი, ალექსანდრეს ბაღის პირ[illegible] (თვ.—255—6)

„კაიდეს"

[illegible] პალაშს, [illegible] მიხეილის ქ., № 108. [illegible] (30—[illegible]

რესტორანი „სამშობლო"

(ტფილისი [illegible])

მამა-დავითის მთაზე „ფუნიკულიორ"-ის [illegible] (3—97—1) [illegible]

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებისა ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,



ეგრეთვე მაწრიალ-მაღალები და სანდლიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ნარდად გაყიდვა

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის

საქართველოს სასტუმროს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346. იქვეა მრავალი

ტყავეულობა

რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (60—5[illegible]